

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ემზარ მაყარაძე

მუსტაფა ქემალ ათათურქის როლი  
რესპუბლიკურ თურქეთში



გამომცემლობა  
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“  
ბათუმი 2009

ნაშრომში განხილულია მუსტაფა ქემალ ათათურქის როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, თურქეთის სახელმწიფო წყობის, ისტორიისა და თანამედროვეობის, რესპუბლიკური თურქეთის ჩამოყალიბების საქმეში.

მონოგრაფია განკუთვნილია აღმოსავლეთმცოდნეების, თურქოლოგების, ისტორიკოსების, სტუდენტებისა და შესაბამისი საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფ. **ო.გოგოლიშვილი**

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფ. **მ.სვანიძე**  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ა/პროფ. **ზ.პატიაშვილი**

ISBN 978-9941-409-55-4

© „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2009-07-16



Ժողովրդայն Հայկան ստեղծող  
(1881-1938)

## შესავალი

XX საუკუნის 90-იან წლებში, მაშინ როდესაც საქარ თველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და გავიდა საერთა შორისო ასპარეზზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩვენს ურთიერთობას მეზობელ სახელმწიფოებთან, კერძოდ, თურქეთის რესპუბლიკასთან.

თურქეთი დიდი ქვეყანაა თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობით, ისტორიული წარსულითა და დღევანდელი დღით. მას კიდევ უფრო ნათელ მომავალს უწინა სწარმეტყველებენ სპეციალისტები. თურქეთმა ბოლო ათწლეულების განმავლობაში ისე განავითარა საკუთარი ეკონომიკა, რომ სერიოზულობას არ არის მოკლებული გამოთქმა: "თურქეთი XXI საუკუნეში შევა, როგორც ერთ-ერთი განვითარებული ქვეყანა."

წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომში შევეცადეთ წარმოგვედგინა რესპუბლიკური თურქეთის დამაარსებლის მუსტაფა ქემალ ათათურქის როლი განმათავისუფლებელ მოძრაობაში; თურქეთის სახელმწიფო წყობის; თურქეთის პოლიტიკური ორიენტაციის; ქემალიზმის პრინციპებისა და სხვა. რამაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე თურქეთში სახელმწიფოებრივი სისტემის ჩამოყალიბებას.

მუსტაფა ქემალ ათათურქი თურქეთისათვის მარტო გუშინდელი დღეა. ამ პიროვნებამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ქვეყნის დღევანდელი მდებარეობა და მომავალი. თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი მოწყობის ოფიციალური დოქტრინა რესპუბლიკის დამაარსებლის, დიდი რეფორმატორის, ქემალ ათათურქის პრინციპებს ეყრდნობა და თურქეთში ქემალიზმის სახელითაა ცნობილი. რომლის

სწორად გაგების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე თურქეთში მიმდინარე პროცესების ობიექტურად აღქმა.

ნაშრომის მიზანია ნათლად ავსახოთ მუსტაფა ქემალ ათათურქის როლი რესპუბლიკური თურქეთის საერო წყობის დამყარებაში; რესპუბლიკური ინსტიტუტებისა და სახელმწიფო სისტემის შესწავლა. საერთო ევროპული დემოკრატიული ნორმების განვითარების წარმოჩენა და ამ საქმეში რესპუბლიკის დამაარსებლის და მისი პირველი პრეზიდენტის ათათურქის მოღვაწეობის და დამსახურების განსაზღვრა. კვლევის პროცესში ჩვენ შემოვიფარგლეთ შემდეგი საკითხებით:

- ა) განვიხილოთ პოლიტიკური ვითარება თურქეთში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ;
- ბ) ვაჩვენოთ ათათურქის როლი განმათავისუფლებელ მოძრაობაში;
- გ) გავაანალიზოთ ქემალიზმის პრინციპების მნიშვნელობა რესპუბლიკურ თურქეთში;
- დ) გამოვარკვიოთ, თუ რა როლი შეასრულა ქემალიზმის რეფორმებმა თურქეთის პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების საქმეში.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები მოიცავს XX საუკუნის 20-იან წლებს, რაც განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სწორედ ამ პერიოდში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა მუსტაფა ქემალ ათათურქი და თურქეთის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეტაპი, რომელმაც გადამჭრელი როლი შეასრულა რესპუბლიკური თურქეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ვიდრე უშუალოდ საკითხის გაშუქებას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ აღნიშნულ საკითხზე არსებული წყაროები და ლიტერატურა.

ნაშრომის წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიულ ბაზას, რომელსაც ჩვენ ვეყრდნობით, საკმაოდ მრავალფეროვანია, რომლის შესწავლა და ანალიზი დიდ ყურადღებას იმსახურებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია: მუსტაფა ქემალ ათათურქის გამონათქვამები; მოსაზრებები; შეხედულებები განმათავისუფლებელ მოძრაობაზე; ქემალიზმის პრინციპებზე; სახელმწიფოს მოწყობის ფორმებზე და სხვა(1-9).

თურქეთის რესპუბლიკაში პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების საქმეში საინტერესო წყაროს წარმოადგენს თურქი მეცნიერის სენდაი ნედინის ნაშრომი "ათათურქი"(10). სადაც საფუძვლიანადაა წარმოდგენილი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებაში მუსტაფა ქემალის ადგილი და როლი.

რესპუბლიკურ თურქეთში ათათურქსა და ქემალიზმის პრინციპებს საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა ცნობილმა თურქმა მეცნიერმა ასიმ ალსანმა(62), სადაც ავტორი საფუძვლიანად მიმოიხილავს ათათურქის ფენომენს რესპუბლიკური თურქეთის დაარსებაში. დოკუმენტური და ფაქტობრივი მასალების დამოწმებით აღწერს ქემალიზმის პრინციპებსა და მის როლს სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბების საქმეში.

ყოფილ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში თანამედროვე თურქეთის საშინაო პოლიტიკის საკითხებს საინტერესო გამოკვლევები მიუძღვნეს ცნობილმა რუსმა მეცნიერებმა.

ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია ა.შამსუდინოვის ნაშრომი: “1918-1923 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თურქეთში”(54), საიდანაც ვგებულობთ, რომ თურქეთის საშინაო პოლიტიკაში 1918-1923 წლებში გადამწყვეტი როლი ითამაშა ათათურქმა, რომელმაც სრულყო სახელმწიფოს სისტემის ჩამოყალიბება.

აღნიშვნის ღირსია ი.როზალიევის ნაშრომი „ათათურქის ცხოვრება და მოღვაწეობა.” სადაც მკვლევარი მიმოიხილავს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების მეტად საინტერესო საკითხებს და დიდ ადგილს უთმობს ათათურქის როლს სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბების საქმეში(51-52).

თურქეთის 1918-1939 წლების ისტორიას საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა რუსმა მეცნიერმა ნ. ლავროვმა, სადაც ავტორი ცდილობს მკითხველს გააცნოს, თუ რა როლს ასრულებს ქემალიზმის პრინციპები ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში(43).

თანამედროვე თურქეთის საშინაო პოლიტიკის პრობლემებთან დაკავშირებით საინტერესოა ქართველი მეცნიერების გამოკვლევები.. ამ თვალსაზრისით, აღნიშვნის ღირსია, ცნობილი ქართველი თურქოლოგის ო. გიგინეიშვილის ნაშრომები(17.18). სადაც მეცნიერი დიდ ადგილს უთმობს რესპუბლიკური თურქეთის ისეთ საკითხებს, როგორცაა: ნაციონალიზმის, ქემალიზმის, ოსმალეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხები.

ცნობილ ქართველ აღმოსავლეთმცოდნეს, პროფესორ მ.სვანიძეს ეკუთვნის საინტერესო გამოკვლევა, ოსმალეთის ისტორია (ნაწილი.II.III.) (33.34), სადაც ავტორი საფუძ

ვლიანად მიმოიხილავს რესპუბლიკური თურქეთის ისტორიას. დოკუმენტებზე დაყრდნობით გვაწვდის უამრავ საინტერესო მასალას.

თანამედროვე თურქეთში არმიის ადგილსა და როლს არაერთი სამეცნიერო გამოკვლევა მიუძღვნა ქართველმა თურქოლოგმა ზ.ბატიაშვილმა. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია ნაშრომი - „თურქეთის შეიარაღებული ძალები“ (12). ზ.ბატიაშვილმა, მდიდარი ლიტერატურისა და თურქული წყაროების გამოყენებით სისტემაში მოიყვანა და ფართო სამსჯავროზე გამოიტანა ნაშრომი, სადაც ახლებურადაა წარმონიშნული თურქეთის შეიარაღებული ძალების ისტორია და მისი როლი რესპუბლიკური, ლაიცისტური თურქეთის ცხოვრებაში.

ვეროპეიზაციისა და ლაიციაზმის საკითხებს რესპუბლიკურ თურქეთში საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა ქართველმა თურქოლოგმა გ.სორდიამ, ნაშრომში „ვეროპეიზაცია თანამედროვე თურქეთში“ (31,32).

მიუხედავად ასეთი ინტენსიური კვლევებისა, ჩვენ მიზნად დავისახეთ ერთობლიობაში მოგვეყვანა და წარმოგვედგინა ნაშრომი, რომელშიც ნათლად იქნებოდა ასახული მუსტაფა ქემალ ათათურქის როლი რესპუბლიკური თურქეთის ჩამოყალიბების საქმეში.

ამგვარად, წარმოდგენილ ნაშრომში აღნიშნული პრობლემების შესწავლა ნათელს მოჰყენს ათათურქისა და ქემალიზმის საკითხებს ქვეყნის ცხოვრებაში და პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ფორმებს რესპუბლიკურ თურქეთში.

# თავი I. მუსტაფა ქამალ ათათურქის როლი განათავისუფლებულ მოქრობაში

## § I. პოლიტიკური ვითარება თურქეთში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ

პირველ მსოფლიო ომში(1914-1918) ოსმალეთის უზარმაზარმა სახელმწიფომ, რომელიც გერმანიის მხარეზე იბრძოდა, მარცხი განიცადა. რაც ოსმალეთს საკმაოდ ძვირი დაუჯდა.

მსოფლიოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, იქმნებოდა იმის საშიშროება, რომ თურქ ერს აღარ რჩებოდა სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების არანაირი პერსპექტივა [54.146].

1918 წლის 30 ოქტომბერს ოსმალეთმა ხელი მოაწერა მუდროსის მძიმე საზავო ხელშეკრულებას, რითაც მოხდა სულთნის ხელისუფლების და სრულიად ოსმალეთის დემობილიზაცია. ანტანტის კონტროლს დაექვემდებარა ქვეყნისათვის ყველაზე სასიცოცხლო ობიექტები: სრუტეები, ტელეგრაფი, ფოსტა, რკინიგზა და სხვა[12.35].

1918 წლის 13 ნოემბერს ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და საბერძნეთის სამხედრო საზღვაო ფლოტი შევიდა ოქროს ყურეში (სტამბოლში) და სულთნის სასახლის წინ ღუზა ჩაუშვა. პარალელურად ინგლისელებმა ტრაპიზონსა და სამსუნში გადასხეს სამხედრო რაზმები. სადაც განზრახული იყო „პონტოს სახელმწიფოს“ შექმნა. საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს ადანის ოლქი და მიმდევ-

ბარე რაიონები, იტალიელებმა ანატოლია და მეზობელი ოლქები ქალაქ კონიამდე, ინგლისელი აგენტები ქურთისტანში ამზადებდნენ აჯანყებას დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად. საბერძნეთის ჯარებმა, 1919 წლის 15 მაისს დაიკავეს ქ. იზმირი და დაიწვეს ქვეყნის სიღრმეში წინსვლა[22.98].

ანტანტის სახელმწიფოების ვარაუდით ისინი შეძლებდნენ საბოლოოდ მოეხდინათ ოსმალეთის ტერიტორიის მთლიანი დანაწილება. რადგანაც დრო მათთვის მეტად ხელსაყრელი იყო. ამ პერიოდში ახლო და შუა აღმოსავლეთის რეგიონში მთავარ როლს ინგლისი ასრულებდა. რომელიც პირველი მსოფლიო ომის ბოლოს გახდა ახლო აღმოსავლეთის ფაქტობრივი ბატონ-პატრონი. მალე მისი კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლია და კილიკია. ისინი კონტროლს უწევდნენ აგრეთვე ერაყსა და სირიას. აღმოსავლეთი ანატოლია ემორჩილებოდა კავკასიაში მყოფ ინგლისის საოკუპაციო ჯარებს, ხოლო ცენტრალური და დასავლეთ ანატოლია კი - ინგლისის ჯარის მთავარსარდალს თურქეთსა და კავკასიაში გენერალ მილნას. გარდა ამისა ინგლისმა თავისი ხელისუფლება დაამყარა ბაღდადის რკინიგზაზეც[51.13].

სულთანი და მისი მთავრობა ინგლისისა და საფრანგეთის მონა-მორჩილი გახდა. 1918 წლის 21 დეკემბერს გამოვიდა სულთნის ბრძანებულება ოსმალეთის დეპუტატთა პალატის(მეჯლისი) დათხოვნის შესახებ.

1919 წლის იანვარში პარიზში გაიხსნა კონფერენცია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა სამშვიდობო საზავო ხელ-

შეკრულებები პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ სახემწიფოებთან, მათ შორის ოსმალეთთან.

1919 წლის 9 იანვარს საბერძნეთის მთავრობამ პარიზის კონფერენციას გაუგზავნა მემორანდუმი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ანატოლიაში ცხოვრობს 2,5 მილიონი ბერძენი, რომლებიც ოცნებობენ საბერძნეთთან გაერთიანებაზე, ხოლო შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში მათ სურდათ შეექმნათ პონტოს სახელმწიფო საბერძნეთის პროტექტორატის ქვეშ. ისინი აგრეთვე მოითხოვდნენ, გადაეცათ მათთვის იზმირი და კონსტანტინეპოლზე დაეწესებინათ ერთა ლიგის კონტროლი.

პარიზის კონფერენციაზე იტალიის წარმომადგენელმა ორლანდომ პროტესტის ფორმით განაცხადა, რომ ლონდონის ხელშეკრულებით იზმირი იტალიას უნდა გადასცემოდა. იტალიელებმა გაიგეს თუ არა, რომ საბერძნეთს უნდა გადასცემოდა იზმირი, გადაწყვიტეს დაესწროთ ბერძნებისათვის და 1919 წლის 4 მაისს იტალიის ჯარი გადასხეს იზმირიდან 60 კმ-ის დაშორებით ქ. კუშადასიში.

იტალიელებს არც ბერძნები ჩამორჩნენ. 15 მაისს დაიწყო საბერძნეთის არმიის გადასხმა იზმირში და 15 დღის განმავლობაში ოკუპირებული იქნა მთელი იზმირის ვილაეთი[43.150].

ასეთი რთული ვითარების ფონზე, ოსმალეთის სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა. სწორედ ამ ურთულესმა ვითარებამ აიძულა თურქი ერის გამორჩეული საზოგადოება, ცენტრალურ ანატოლიაში მოეხდინათ თანამოაზრეთა გაერთიანება და საფუძველი ჩაეყრათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის[14.6].

თავდაპირველად, განმანათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი ძალა იყო ომით გაჩანაგებული გლეხობა. ბრძოლაში პირველნი ჩაებნენ ის პარტიზანული რაზმები, რომლებშიც გაერთიანებული იყვნენ ფრონტიდან თვითნებურად დაბრუნებული შეიარაღებული ჯარისკაცები. პარტიზანული ბრძოლა შემდეგში უფრო ორგანიზებული ხდება და მასობრივ ხასიათს იღებს.

გლეხობასთან ერთად ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ებმება მუშათა კლასიც. ხოლო ერის მედროშის როლში კი გამოვიდა ეროვნული ბურჟუაზია. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ თურქი ხალხის განმანათავისუფლებელი მოძრაობის ბაზად იქცა თურქეთის აზიური ნაწილი, კერძოდ ანატოლია. სწორედ აქ იყო კონცენტრირებული თურქი გლეხობის ძირითადი მასა, წერილი მემამულეები, რომლებიც ერის ჯანსაღ ნაწილს შეადგენდნენ [24.42].

პირველი მსოფლიო ომის წლებში თურქეთის ეკონომიკური ცხოვრების ცენტრმა ანატოლიისაკენ გადაინაცვლა. რომელიც გახდა აღებ-მიცემობისა და საწარმო საქმიანობის მნიშვნელოვანი ბაზა. რამაც გააძლიერა ანატოლიის სავაჭრო ბურჟუაზიის საქმიანობის სფერო. თუმცა ოკუპანტების მიერ ქვეყნის სრული დაყოფის გეგმებმა სერიოზული საფრთხე შეუქმნა მის მონაპოვარს. ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები უკარნახებდა მათ გამოსულიყვნენ ქვეყნის ეროვნული ინტერესების დამცველად[55.23].

პირველ ხანებში, ანატოლიის ბურჟუაზია და მემამულეები თავს იკავებდნენ და დაცდის ტაქტიკას ადგნენ,

მაგრამ როდესაც სახალხო პარტიზანულმა ომმა დიდი გასაქანი მიიღო და ანატოლიის დიდ ნაწილს მოედო, ისინიც აქტიურად ჩაებნენ ბრძოლაში.

მოწინააღმდეგების წინააღმდეგ ბრძოლის უშუალო ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის, ანატოლიის ბურჟუაზიის იდეურ მისწრაფებათა გამომხატველის როლში გამოვიდა ეროვნული ინტელიგენციის მოწინავე, პატრიოტული ნაწილი, კერძოდ, პროგრესული ოფიცრობა. სწორედ მათი რიგებიდან გამოვიდა თურქი ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელი, თურქი ხალხის დიდი შვილი მუსტაფა ქემალი. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული როლისა და დამსახურების გამო განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ქემალისტური მოძრაობის სახელი მიიღო[26.55].

თურქ ერსა და თურქეთის სახელმწიფოს ასეთ საბედისწერო ვითარებაში სჭირდებოდა ენერგიული, გაბედული, შორსმჭვრეტელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. ასეთ პიროვნებად თურქეთს მუსტაფა ქემალი მოევლინა[34.37].

## **§ II. მ.ქ.ათათურქი და განმათავისუფლებელი მოძრაობა**

მუსტაფა ქემალი, შემდეგში ათათურქად(თურქების მამა) წოდებული დაიბადა 1881 წელს ქალაქ სალონიკში. დაბადების თარიღთან დაკავშირებით ათათურქი ამბობდა:

„მე არ ვიცი ზუსტად ჩემი დაბადების დღე, მაგრამ რადგანაც თქვენ ასე გაინტერესებთ და გსურთ ამის გაგება, მაშინ გეტყვით, ეს 19 მაისია“[71.30].

დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ, მან სწავლა სახელმწიფო სამოქალაქო საშუალო სკოლაში განაგრძო. სადაც, მოსწავლის იშვიათი ნიჭისა და სხარტი გონების გამო, მასწავლებელმა მუსტაფა ბეიმ, ახალგაზრდის სახელს ქემალი (ღირსეული) დაუმატა და მიიღო სრულფასოვანი სახელი მუსტაფა ქემალი[35.18].

სალონიკის სამხედრო სამოქალაქო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1896-1899 წლებში, მუსტაფა ქემალი სწავლობდა ოსმალურ სახელმწიფო სამხედრო ლიცეუმში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1899 წელს 13 მარტს სწავლა გააგრძელა სტამბოლში სამხედრო სკოლაში, რომელიც 1902 წელს ლეიტენანტის ჩინით დაასრულა. იმავე წელს სწავლა განაგრძო სამხედრო აკადემიაში და ასისტანტის წოდებით სასწავლებლის კურსდამთავრებული გახდა [44.12].

სტამბოლის უმაღლეს სამხედრო გენერალური შტაბის აკადემიის სასწავლებელში ყოფნისას ის გაიტაცა თანზიმათის პერიოდის თურქ-ნაციონალისტთა იდეებმა, დაუკავშირდა სულთან აბდულ-ჰამიდ II-ის მიმართ ოპოზიციურად განწყობილ ახალგაზრდა ოფიცრებს. აკადემიის დამთავრების შემდეგ ქემალმა 1906 წელს დამასკოში, შემდეგ კი სხვა ქალაქებში თანამოაზრეებთან ერთად დააარსა „სამშობლოსა და პროგრესის ორგანიზაცია“ [33.200].

ათათურქმა მალევე დაიმსახურა „ახალგაზრდა თურქთა“ მიერ შექმნილი „მოქმედების არმიის“ შტაბის უფრო-

სობა. 1911 წელს გახდა მაიორი. მონაწილეობდა იტალია-ოსმალეთის (1911-1912) და ბალკანეთის მეორე (1913) ომებში. 1913-1915 წლებში იყო ოსმალეთის სამხედრო ატაშე ბულგარეთში, საიდანაც მოქმედ არმიაში გადაიყვანეს. 1914 წელს პოლკოვნიკის წოდება მიიღო.

პირველ მსოფლიო ომში ათათურქი სხვადასხვა ფრონტზე იბრძოდა, სადაც მან მიიღო ფაშას ანუ გენერლის ტიტული. ომში ოსმალეთის დამარცხებისა და ანტანტის ქვეყნების მიერ მისი ტერიტორიების დიდი ნაწილის ოკუპაციის შემდეგ ქემალ ფაშა მოუწოდებდა სულთან მეჰმედ V-ს ოკუპანტთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის დაწყებისაკენ[21.20].

ოსმალეთის კაპიტულაციის შემდეგ ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში ტერიტორიების დაცვის მიზნით დაიწყო (ერთ-მანეთისაგან დამოუკიდებლად) სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების დაარსება.

1918 წლის ბოლოს ათათურქის ძალისხმევით თრაკიაშია, იზმირსა და კილიკიაში შეიქმნა "უფლებათა დაცვის საზოგადოება;" "დეცენტრალიზაციის საზოგადოება;" "ეროვნული კონგრესი" და სხვა.

1919 წლის დამდეგამდე, ამ საზოგადოებების და ორგანიზაციების უმრავლესობა განიცდიდა პაციფისტურ გავლენას. ისინი იმედოვნებდნენ „სამართლიანი“ სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას, ამიტომაც მათი საქმიანობა არ იყო მიმართული ოკუპანტების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისაკენ, არამედ კმაყოფილდ ებოდნენ მხოლოდ მიტინგების ჩატარებითა და პოლიტიკური სტატიების გამოქვეყნებით. მაგრამ ვითარების გაუარესების გამო მათი

ილუზიები მალე დაიმსხვრა. საჭირო იყო დაწყებულიყო სახალხო მოძრაობა, მაგრამ ამ დროს თურქეთის ბურჟუაზიას არ ჰყავდა ჯერ კიდევ ერთიანი ორგანიზაცია, რომელიც შეძლებდა სათავეში ჩასდგომოდა ამ მოძრაობას [40.122].

მსოფლიო ომში ჩაბმის შემდეგ ქემალი დაინიშნა მე-19 ქვეითი დივიზიის მეთაურად. იგი მონაწილეობდა დარდანელის ოპერაციაში, სადაც მიიღო პოლკოვნიკის ჩინი. 1916 წლის აგვისტოში იგი მეთაურობდა ბითლიზისა და მუნის ოპერაციებში. 1917 წლის ზაფხულში კი სარდლობდა მე-7 არმიას, რომელიც ბაღდადსა და მესოპოტამიის რაიონში იყო განლაგებული.

1917 წლის 15 დეკემბრიდან 1918 წლის 5 იანვრამდე მუსტაფა ქემალი ბერლინში თან ახლდა უფლისწულ ვაჰიდედინს. 1918 წლისათვის იგი კვლავ დაინიშნა მე-7 არმიის სარდლად, სწორედ აქ მოუსწრო მას პირველ მსოფლიო ომის დაზავებამ[37.30].

მუდროსის ზავის შემდეგ ქემალმა მოახდინა ჯარების ევაკუაცია კილიკიაში და ცდილობდა გაეწია წინააღმდეგობა ინგლისის ჯარებისათვის მოსულის რაიონში, მაგრამ მთავრობისაგან ვერ მიიღო მხარდაჭერა და 1918 წლის 10 ნოემბერს იგი სტამბოლში დაბრუნდა.

სტამბოლში ყოფნის დროს მუსტაფა ქემალმა თავის გარშემო დაიწყო იმ პირების შემოკრება რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ ოკუპანტების საქმიანობით და სულთნის მეთაურობით შემრიგებლური პოლიტიკით. იმ დროს მუსტაფა ქემალს იმედი ჰქონდა, რომ ოსმალეთის კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსვლა შესაძლებელი იქნებოდა, თუ

შეიქმნებოდა ახალი ქმედითი მთავრობა და მას უნარი ექნებოდა გადამწყვეტი ზომები მიეღო ქვეყნის ეროვნული ინტერესების დასაცავად, მაგრამ სულთნის გარშემო მოკალათებულმა დიდმა მოხელეებმა ყურად არ იღეს ქმედის პატრიოტული მოწოდებები.

ასეთ ვითარებაში ათათურქმა მიიღო სწორი გადაწყვეტილება. მან ინტერვენტების წინააღმდეგ ძალების გაერთიანება დაიწყო ანატოლიიდან, სადაც საამისოდ მეტად ხელსაყრელი პირობები იყო[51.13].

თურქეთში სოციალური რეფორმების განსახორციელებლად, უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ბრძოლა საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ, მაშინ როდესაც სრუტეები და ტერიტორია ანტანტის ქვეყნებისათვის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენდა[17.52].

1919 წლის 19 მაისს მუსტაფა ქემალი სამსუნში ჩავიდა. თურქულ ისტორიოგრაფიაში საწორედ ეს დღე ითვლება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყების თარიღად [67.30].

1919 წლის მაისის ბოლოს, ქვეყანაში შექმნილ ვითარებას მუსტაფა ქემალ ათათურქი შემდეგნაირად ახასიათებდა: “თურქული არმია თითქმის განადგურებულია, ეს იმ პირობებში, როდესაც ანტანტასა და თურქეთს შორის დაიღო ამ უკანასკნელისათვის მეტად არახელსაყრელი ხელშეკრულება, სულთანი ვაჰიდედინი, მხოლოდ საკუთარი ტახტის შენარჩუნებისათვის ზრუნავს. დემად ფერიდ ფაშას კაბინეტს არა აქვს არც ძალა, არც ღირსება და არც გამბედაობა, იგი სულთნის მორჩილია და ეთანხმება მის ნებისმიერ გადაწყვეტილებას”[41.23].

სულთანის და მისი მთავრობის, რომელსაც ზურგს ინგლისის უმაგრებდა დიად გამოვიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. მუსლიმთა სულიერმა ლიდერმა შეიხულ-ისლამმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაგმო და ქემალ ათათურქს დამნაშავე უწოდა. 1920 წლის მაისში, სამხედრო სასამართლომ სტამბულში, ქემალ ფაშას სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა[59.78].

თურქულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილია ათათურქის იდეური ჩამოყალიბების გზა. თურქმა თუ უცხოელმა მოაზროვნებმა გამოკვეთილი როლი შეასრულეს ქემალის იდეური ფორმირების საქმეში, რომელთაც გავლენა მოახდინეს ათათურქის ინტერესებსა და შეხედულებების გარკვეული მიმართულებით წარმართვაზე.

ათათურქის ახალგაზრდობის დროს თურქულ ინტელიგენციაში გავრცელებული იდეები, შემდეგში ქემალიზმის პრინციპებად მოგვევლინა. ათათურქისეული აზროვნების სისტემა, თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა და მისი შედეგები ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე დიდ ფენომენად იქნა აღიარებული[10.80].

დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების ფონზე ათათურქი "ფადიშაჰის წმინდა დროში" შეუდგა განმათავისუფლებელ მოძრაობას. მან ბრძოლის დაწყების წინ ხალხს მოუწოდა: "სამშობლოს ხელშეუვალობა და დამოუკიდებლობა საფრთხეშია, ცენტრალური მთავრობა ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, რის გამოც საჭიროა მოვიწვიოთ ეროვნული ყრილობა, რომლიც თავისუფალი იქნება ყოველივე გავლენისა და კონტროლისაგან"[1.23].

მუსტაფა ქემალი მას შემდეგ რაც დარწმუნდა, რომ ხალხი გაჰყვებოდა ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად, მან წერილით ორჯერ მიმართა სულთანს და შეეცადა დაერწმუნებინა ის, რომ ჩასდგომოდა სათავეში ამ მოძრაობას, მაგრამ სულთანი არც კი გამოეხმაურა ამ მოწოდებას, პირიქით, წავიდა ოკუპანტებთან შეთანხმებაზე.

1919 წლის 20 ივნისს ქ. ამასიაში მუსტაფა ქემალის ხელმძღვანელობით საიდუმლოდ შეიკრიბა არმიის ნაწილების მეთაურები, ყოფილი საზღვაო მინისტრი ჰუსეინ რაუფ ბეი; XX კორპუსის მეთაური ალი ფუად ფაშა; რეფეთ ფაშა; ჰამით ბეი და სხვები. მუსტაფა ქემალი დაუკავშირდა XV არმიის მეთაურს ქაზიმ ყარა ბექირსა და XIII კორპუსის მეთაურს ქემალ ფაშას, რომლებმაც ვერ მოახერხეს ამასიაში ჩასვლა. კრებამ მიიღო საიდუმლო ცირკულარი, რომელიც გაეგზავნა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთ. რომელშიც აღნიშნული იყო ძირითადი მოთხოვნები:

სტამბოლის ხელისუფლება ვერ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას; ერის დამოუკიდებლობას თავად ერმა უნდა უზრუნველყოს; აუცილებელი იყო ეროვნული მთავრობის შექმნა, რომელიც მსოფლიოს შეატყობინებდა თურქი ხალხის ნებას და სხვა.

ამასიაში თათბირის დროს თურქეთის დამოუკიდებლობის დასაცავად შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც თავის თავზე აიღო პატრიოტული ძალების გაერთიანება და ერთიანი ფრონტის შექმნა[53.78].

1919 წლის 22 ივნისს მუსტაფა ქემალმა ამ ჯგუფის სახელით მიწვევა გაუგზავნა არმიის კორპუსების მეთაურებს, გუბერნატორებს, სხვადასხვა საზოგადოებებს, პოლიტიკურ და რელიგიურ მოღვაწეებს, ქალაქის გამგებლებს, მონაწილეობა მიეღოთ სივასის კონგრესის მუშაობაში. მუსტაფა ქემალი ცდილობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში რაც შეიძლებოდა მეტი მასები მიეზიდა, რომ მას ნამდვილად სახალხო ხასიათი ჰქონოდა. იგი ითვალისწინებდა, “ერიანობის და პროგრესის” პარტიის მიერ დაშვებულ შეცდომებს, რომლებიც ხალხისაგან იზოლირებული იყვნენ. მას მხოლოდ არმიაზე დაყრდნობა სახიფათოდ მიაჩნდა, რადგან დამარცხებული არმიის ნდობა რამდენად შეიძლებოდა ჯერ კიდევ საკითხავი იყო. ამ შემთხვევაში წინააღმდეგობის მოძრაობაში მთელი ხალხის ჩაბმა იყო საჭირო. რაც დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. “ოსმალეთის მთავრობის, ფადიშაჰისა და ხალიფას წინააღმდეგ მთელი ხალხისა და არმიის აჯანყება იყო საჭირო” - წერდა მუსტაფა ქემალი[50.12.]. იგი ტელეგრაფით დაუკავშირდა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებს, სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებს და შეეცადა მოეხდინა მათი კოორდინაცია. ამასიის ცირკულარი მან მიზანმიმართულად გამოიყენა.

ანატოლიაში ხალხის დარაზმვისა და გაერთიანებების ეს მცდელობა სტამბულის ხელისუფლებამ აჯანყებად მონათლა. მოკავშირეთა მთავარსარდალმა ინგლისელმა გენერალმა მილნმა თურქეთის სამხედრო მინისტრს მოსთხოვა დაუყოვნებლივ დაებრუნებინა მუსტაფა ქემალი დედაქალაქში, რაზედაც მან უარი მიიღო.

1919 წლის 8 ივლისს მუსტაფა ქემალი გადადგა თანამდებობიდან. სულთანის მთავრობამ კი იგი “მეამბოხე განერლად” გამოაცხადა[52.37].

1919 წლის 23 ივლისიდან 7 აგვისტომდე ერზრუმში ჩატარდა “აღმოსავლეთის ვილაიეთების უფლებათა დაცვის საზოგადოებების” კონგრესი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 54 დეპუტატმა. კონგრესის თავმჯდომარედ არჩეული იქნა მუსტაფა ქემალ ფაშა. კონგრესმა მიიღო რეზოლუცია და მანიფესტი, რომელშიც გაცხადებული იყო, რომ თურქი ხალხი არ დაუშვებდა აღმოსავლეთ ანატოლიის დანაწევრებასა და დაკაბალებას. კონგრესის გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო, რომ “აღმოსავლეთის ვილაიეთები წარმოადგენს ერთ მთლიან ნაწილს და არანაირი საბაბით არ შეიძლება მოწყვიტონ ოსმალეთის სახელმწიფოს.” მან აირჩია ცხრა კაცისაგან შემდგარი წარმომადგენლობითი კომიტეტი, რომლითაც საფუძველი დაედო ანატოლიის ახალ ხელისუფლებას, რომელმაც მოამზადა პირობები სივასის კონგრესის ჩასატარებლად [75.89].

1919 წლის 4-12 სექტემბეს სივასში შეიკრიბა “ანატოლიისა და რუმელიის უფლებათა დაცვის საზოგადოების” კონგრესი, რომელშიც გარკვეული მიზეზების გამო მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 33 დეპუტატმა. სივასის კონგრესზე, ისევე როგორც ერზრუმში, უმთავრესად წარმოდგენილი იყვნენ მაღალი ქონებრივი ცენზის მქონე ფენები: მემამულეები, ვაჭრები, სასულიერო პირები, ოფიცრები, ჩინოვნიკები, იურისტები და თურქეთის ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები [54.62].

სივასის კონგრესის გადაწყვეტილებას უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნაციონალური განთავისუფლების საფუძვლების შემუშავებაში. კონგრესმა დაამტკიცა ერზრუმის რეზოლუცია და მიიღო გადაწყვეტილება გაეგრძელებინა იგი მთელი თურქეთის ტერიტორიაზე.

კონგრესზე, მუსტაფა ქემალის ხელმძღვანელობით აირჩიეს 16 კაცისაგან შემდგარი ახალი წარმომადგენლობითი კომიტეტი.

1919 წლის 2 ოქტომბერს სულთანმა შეცვალა ფერიდ ფაშას მთავობა სენატორ ალი რიზა ფაშათი და მას დაავალა ანატოლიაში ნაციონალური მოძრაობის განადგურება“ [65.120].

სივასის კონგრესი ითვლება ”სახალხო რესპუბლიკური პარტიის” პირველ ყრილობად. შემდგომში მუსტაფა ქემალი აცხადებდა, რომ “ეს პარტია იყო “სახელმწიფოს შემქმნელი”[76.98]. ამ ეტაპზე ქემალისა და მის მიერ შექმნილი ახალი პოლიტიკური ძალის მიზანი იყო არა იმდენად ანტანტის სახელმწიფოების წინააღმდეგ მოქმედება, არამედ სულთნის ხელისუფლებაში ანატოლის მოძრაობის მიმართ სიმპათიით განწყობილ მინისტრებთან თუ სხვადასხვა მოხელეებთან თანამშრომლობით ახალი ალტერნატიული ხელისუფლების შექმნა.

1919 წლის 22 ოქტომბეს მოხდა მორიგება სულთნის ხელისუფლების მთავრობის მეტაურ ალი რიზასთან და მინისტრ სალიჰ ფაშასთან. შეთანხმების მიხედვით სტამბოლისაგან დამოუკიდებლად უნდა ჩამოყალიბებულიყო დეპუტატთა ახალი საბჭო. შემდგომში მოვლენები სწორედ შეთანხმების მიხედვით განვითარდა[62.130].

1919 წლის დეკემბერში თურქეთში გაიმართა საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც ქემალის მომხრეებმა, ანუ ქემალისტებმა გაიმარჯვეს. 1920 წლის 12 იანვარს, სტამბოლში გაიმართა ახალი პარლამენტის სესია. 29 იანვარს სხდომაზე მიიღეს ქემალისტების მიერ შეთავაზებული “ეროვნული აღთქმის” დეკლარაცია, რომელიც მიმართული იყო ქვეყნის დასაცავად და ინტერვენტების წინააღმდეგ საბრძოლველად. 16 მარტს ინგლისელებმა ჯარები გადასხეს სტამბოლში და დაარბიეს პარლამენტის შენობა. დეპუტატების ნაწილი დააპატიმრეს და კუნძულ მალტაზე გადაასახლეს. სტამბოლი ოკუპირებული იქნა ინგლისელთა ჯარების მიერ.

1920 წლის მარტში სულთანი ინახულა დეპუტატთა პარტიის დელეგაციამ რაუფ ბეის ხელმძღვანელობით და თხოვა სათავეში ჩასდგომოდა განმათავისუფლებელ მოძრაობას. რომლის სანაცვლოდაც სულთანმა უპასუხა, “ინგლისელებს ახლავე შეუძლიათ აიღონ ანკარა და მათთან ბრძოლა კი ილუზია არისო”[58.65].

1920 წლის მარტში ქემალისტების ინიციატივით გაიმართა პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები. ხოლო 1920 წლის 23 აპილს ანკრაში გაიხსნა დიდი ეროვნული კრება (მეჯლისი). ეს იყო ერთპარტიული პარლამენტი, სადაც დელეგირებული იყო 233 დეპუტატი. 105 დეპუტატი ჩამოვიდა სტამბოლიდან, მას შემდეგ, რაც დეპუტატთა პალატა დათხოვნილ იქნა ნაციონალური უმცირესობა წარმოდგენილი იყო ქურთებით, ლაზებითა და ჩერქეზებით.

პარლამენტის თავმჯდომარედ ხმების უმრავლესობით არჩეულ იქნა მუსტაფა ქემალ ფაშა[6.138].

ახალმა პარლამენტმა თავისი საქმიანობის მეორე დღესვე, 1876 წლის კონსტიტუციის გათვალისწინების გარეშე მიიღო გადაწყვეტილება ახალი სახელისუფლებო სისტემის საფუძვლების შესახებ. პარლამენტს უნდა აერჩია მთავრობის წევრები, რომლებიც თავის მხრივ პასუხისმგებელი იქნებოდნენ პარლამენტის წინაშე.

პარლამენტის თავმჯდომარე ითავსებდა მთავრობის თავმჯდომარის კომპეტენციასაც. თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ 2 მაისს მიღებული კანონის შესაბამისად ფაქტობრივად იქმნებოდა ახალი სისტემა. მუშაობა დაიწყო ახალი კონსტიტუციის პროექტზე, რომელიც მიღებულ იქნა 1921 წლის 20 იანვარს. ამ კონსტიტუციით, არ იყო ფორმირებული თუ რა ტიპის მმართველობა იქმნებოდა თურქეთში, რესპუბლიკური თუ მონარქიული. იმ პერიოდში, ამ საკითხის დასმას ქემალისტებმა დროებით შეგნებულად აარიდეს თავი.

ქვეყანაში თურქეთის დიდი ნაციონალური კრება გამოცხადდა ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად, რომელმაც თავის თავში გააერთიანა, როგორც საკანონმდებლო ისე აღმასრულებელი ხელისუფლება. სტამბოლის ოკუპაციის შემდეგ სულთნის მიერ გაცემული ყველა ბრძანება გაუქმებული იქნა. 1920 წლის 3 მაისს პარლამენტმა მუსტაფა ქემალის ხემდგანელობით აირჩია 11 კაცისგან შემდგარი მთავობა, რომელიც ახორციელებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას პარლამენტის სახელით[34.210].

თურქეთის დიდი ეროვნული კრება თავისი შემადგენლობით ჭრელი იყო. მასში თავმოყრილი იყვნენ სხვად ასხვა მრწამსისა და შეხედულების ადამიანები. ზოგი

მათგანი გარკვეულ პერიოდში “ერთიანობისა და პროგრესის” პარტიის წევრი იყო. პარლამენტში მრავლად იყვნენ წარმოდგენილი აგრეთვე უკიდურესად რელიგიური და კონსერვატორი ლიდერებიც. სოლიდური წარმომადგენლობა ჰყავდათ აგრეთვე ქურთებსაც. მათ პირველ ეტაპზე არ გამოუმუდავებიათ აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ნათელი იყო, რომ ასეთი პარლამენტი ერთსულოვანი ვერ იქნებოდა.

კონსტიტუციის მიღების შემდეგ დაიწყო წინააღმდეგობის მოძრაობის აშკარა გამოკვეთა. შეიქმნა “სოლიდარობისა და “სიმართლის დაცვის” ჯგუფი.

მუსტაფა ქემალი მიხვდა, რომ ასეთი დანაწევრება პარლამენტის მუშაობას გაართულებდა, ამიტომ ეს ჯგუფი გააერთინა “ანატოლიისა და თრაკიის უფლებათა დაცვის პოლიტიკურ ჯგუფში,” რომელსაც შემდგომში “პირველი ჯგუფი” ეწოდა. ერთი წლის შემდეგ, 1922 წლის ივლისში აღნიშნულ ჯგუფს გამოეყო დეპუტატთა გარკვეული რაოდენობა, რომელთაც დაარსეს ოპოზიციური გაერთიანება - “ანატოლიისა და თრაკიის უფლებათა დაცვის მეორე ჯგუფის” სახელწოდებით[54.97].

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობამ ანატოლიაში გააძლიერა სულთნისა და იმპერიალისტების შემფოთება. მათ კიდევ გაგზავნეს ანატოლიაში “ხალიფას არმია,” მაგრამ პარტიზანულმა რაზმებმა იგი გაანადგურეს. მაშინ ანტანტის ქვეყნებმა წააქეზეს საბერძნეთის მთავრობა, სანაცვლოდ კი დაჰპირდნენ თურქეთის ტერიტორიის დიდ ნაწილს.

1920 წლის ივნისში საბერძნეთის არმია დაიძრა იზმირიდან. მათ მოახერხეს თურქი პარტიზანების წინააღმდეგობის დაძლევა და აიღეს ბალიქესირი, ბურსა და ანატოლიის სიღრმეში შევიდნენ. იმავე თვეში დაიკავეს ედირნე[54.100].

ანტანტის ქვეყნებს სურდათ ეს დროებითი წარმატება იურიდიულად გაეფორმებინათ. 1920 წლის 10 აგვისტოს, ქსევრში ხელი მოეწერა პირველი მსოფლიო ომის წლებში გამარჯვებულ ქვეყნებსა და სულთნის მთავრობას შორის სამშვიდობო-საზავო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც აღმოსავლეთ თრაკია, ედირნე და იზმირი საბერძნეთს უნდა გადასცემოდა; მოსური-ინგლისს; ისქენდერონი და სირიის საზღვრის გასწვრივ დიდი ნაწილი საფრანგეთს; აღმოსავლეთ ანატოლიაში ითვალისწინებდნენ საზღვრის გაყოფას დაშნაკურ სომხეთთან და დამოუკიდებელი ქურთის ტანის შექმნას, რაც სპეციალურ კომისიას უნდა მოეხდინა. ანატოლიის დანარჩენი ნაწილი ანტანტის ქვეყნებს შორის "გაველენის სფეროდ" უნდა დანაწილებულიყო. სრუტეები, საერთაშორისო კომისიის ხელში გადადიოდა, რომლის წევრებიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობდნენ. სრუტეების კომისიას ჰქონდა თავისი დროშა, ჰყავდა მოსამსახურე აპარატი, პოლიცია და ერთგვარად წარმოადგენდა სახელმწიფოს სახელმწიფოში. უნდა მომხდარიყო სრუტეების დემილიტარიზაცია. სრუტეებით სარგებლობა თავისუფალი იქნებოდა ყველასათვის, ომისა და მშვიდობიანობის დროს[51.25].

სევრის ხელშეკრულებით, თურქეთს რჩებოდა ცენტრალური ანატოლია დედაქალაქი სტამბოლით. იგი ცნობდა

მანდატს სირიაზე, ერაყსა და პალესტინაზე, აღიარებდა ინგლისის პროტექტორატს ეგვიპტეზე, საფრანგეთის პროტექტორატს მაროკოსა და ტუნისზე. აგრეთვე უარს ამბობდა ლიბიაზე. თურქეთის შეიარაღებული ძალების რაოდენობა განისაზღვრა 50,700 კაცით. თურქეთი ვალდებული იყო ექვსი თვის განმავლობაში მოეხდინა თავისი არმიის დემობილიზაცია, აღდგენილ იქნა კაპიტულაციების რეჟიმი, საკონსულო სასამართლოები და სხვა.

სევრის ზავის პირობებმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მთელ თურქეთში და სულთნის მთავრობამ ვერ გაბედა მისი რატიფიკაცია[17.29].

1921 წლის 16 მარტს მუსტაფა ქემალის მთავრობასა და საბჭოთა რუსეთს შორის, მოსკოვში მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულების გაფორმებამ დიდად შეაშფოთა ანტანტის ქვეყნები. მათ 1921 წლის თებერვალში მოიწვიეს ლონდონის კონფერენცია, სადაც წარმოდგენილი იყო სულთნისა (სტამბოლი) და ქემალისტური(ანკარა) მთავრობა. ინგლისი ცდილობდა თურქეთის მთავრობისაგან მიეღწია სევრის საზავო ხელშეკრულების მიერ მიღებული დადგენილებები. ლონდონის კონფერენცია წარუმატებლად დასრულდა, თუმცა ეს იყო ქემალისტების დე-ფაქტო აღიარება[47.85].

ლონდონის კონფერენციის ჩაშლის შემდეგ ბერძნებმა განაახლეს შეტევა. 1921 წლის 31 მარტს მათ ხელმეორედ განიცადეს დამარცხება სოფელ ინონიუსთან. მიუხედავად მარცხისა, ინგლისის მხარდაჭერით 1921 წლის ზაფხულში ახალი შეტევა დაიწყო ანატოლიაში. 1921 წლის აგვისტოს დასაწყისში ფრონტის ხაზი ანკარას მიუახლოვდა. 15

აგვისტოს საბერძნეთის მეფემ კონსტანტინემ, გამოსცა ბრძანება ანკარის წინააღმდეგ შეტევის დაწყების შესახებ. ასეთ ვითარებაში თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მუსტაფა ქემალი განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვა და დანიშნა ჯარების უმაღლეს მთავარსარდლად, რომელმაც გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები ქვეყნის თავდაცვის მიზნით[49.15].

1921 წლის 23 აგვისტოს მდ. საქარიას მარცხენა სანაპიროზე დაიწყო მძიმე ბრძოლა. საქარიასთან ბრძოლები 22 დღეს გაგრძელდა და თურქების გამარჯვებით დამთავრდა. 13 სექტემბერს მდ.საქარიას აღმოსავლეთით არ დარჩენილა არც ერთი ბერძენი ჯარისკაცი. ამ გამარჯვების აღსაღნიშნავად თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მუსტაფა ქემალ ფაშას მარშალის ჩინი და ღაზის (გამარჯვებულის) ტიტული უბოძა[37.49].

საქარიასთან ბრძოლის შემდეგ ერთიანი ანტითურქული ფრონტი საბოლოოდ დაიშალა. თურქეთთან მიმართებით ანტანტის ქვეყნებს შორის წარმოიშვა უთანხმოება. საფრანგეთმა და იტალიამ მოითხოვა სევრის ხელშეკრულების გადახედვა. 1922 წლის 20 ოქტომბერს საფრანგეთის მთავრობა დარწმუნდა რა თურქეთის სიძლიერეში, ხელი მოაწერა სეპარატისტულ ხელშეკრულებას, რომლითაც ცნო ანკარის ხელისუფლება და უარი განაცხადა ბრძოლის გაგრძელებაზე.

ანატოლია დატოვეს იტალიის ჯარებმაც. საქარიასთან ბრძოლის შემდეგ დასავლეთის ფრონტზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეწყდა საომარი ოპერაცია, რამაც

თურქეთს საშუალება მისცა მომზადებულიყო გადამწყვეტი შეტევისათვის.

1922 წლის მეორე ნახევრისათვის თურქეთის არმია მზად იყო გენერალური შეტევისათვის. დასავლეთის ფრონტზე ქემალისტებმა ორი არმია შეადგინეს, რომე ლთა საერთო რაოდენობა 110 ათას კაცს შეადგენდა. საბერძნეთის არმია გაცილებით უკეთ იყო შეიარაღებული.

1922 წლის 26 აგვისტოს თურქეთის არმია ქდუმლუფინართან შეტევაზე გადავიდა, გაარღვია ფრონტის საზი და ორი დღის ბრძოლის შემდეგ 50 კმ-ით წინ წაიწია. ბრძოლა თურქეთის გამარჯვებით დასრულდა. საბერძნეთის არმიის მთავარი შტაბი და გერენალი ტრიკუპისი 5000 ჯარისკაცით ტყვედ ჩავარდა. 6 სექტემბერს თურქებმა დაიკავეს ბურსა, 9 სექტემბერს იზმირი, 18 სექტემბრისათვის მთელი თურქეთის ტერიტორია გათავისუფლებულ იქნა საბერძნეთის ჯარებისაგან. 23 სექტემბერს მოკავშირეებმა წინადადება შესთავაზეს თურქეთს, რათა ზავის დადების მიზნით მოწვეულიყო სამშვიდობო კონფერენცია. 3 ოქტომბერს დროებითი ზავის დასადებად მუდანიაში გაიხსნა კონფერენცია. თურქეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალი ისმეთ ფაშა(ინონიუ). კონფერენციას ესწრებოდნენ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და საბერძნეთის წარმომადგენლები. თურქული მხარე მოითხოვა, რომ საბერძნეთის არმიას გაეთავისუფლებინა აღმოსავლეთ თრაკია. გარკვეული წინააღმდეგობების შემდეგ, ბერძნები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ აღნიშნული ტერიტორია [54.78].

1922 წლის 11 ოქტომბერს ანტანტის ქვეყნების წარმომადგენლებმა ანკარის მთავრობასთან ქ.მუდანიაში ხელი მოაწერეს სამშვიდობო-საზავო ხელშეკრულებას. ეს იყო კომპრომისული ხელშეკრულება ანტანტასა და ახალ თურქეთს შორის. თურქეთმა უომრად მიაღწია აღმოსავლეთ თრაკიის გათავისუფლებას. ანტანტის ქვეყნებმა მოიპოვეს უფლება საზავო ხელშეკრულების დადებამდე დაეტოვებინათ თავიანთი ჯარები სტამბოლსა და სრუტეებში, რამაც ლოზანის საზავო კონფერენციაზე უარყოფითი გავლენა იქონია. ანტანტის ქვეყნებმა კონფერენციაზე მოიწვიეს როგორც ანკარის, ასევე სტამბოლის ხელისუფლება. სულთნის ხელისუფლება ცდილობდა მონაწილეობა მიეღო კონფერენციაში და ბოლო მოეღოთ სულთნის ხელისუფლებისათვის [34.53].

1921-1922 წ.წ. მუსტაფა ქემალ ფაშას ხელმძღვანელობით ქემალისტებმა დიდ გამარჯვებას მიაღწიეს. ქვეყნიდან ბერძენი ინტერვენტების განდევნის შემდეგ (1922 წლის სექტემბერი) ერთიანი ეროვნული ფრონტი დაიშალა.

ეროვნული საფრთხის მოშლამ დააჩქარა ქემალი სტების ბანაკში უთანხმოების გამოაშკარავება. კვლავ გამოცოცხლდნენ რეაქციული ძალები. ისინი გამოსატავდნენ ფეოდალურ-კლერიკალურ, კომპრადალური ბურჟუაზიის ინტერესებს. ოპოზიციური დეპუტატები გამოდიოდნენ ეროვნული სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგ, ისინი ამტკიცებდნენ, რომ თურქეთში შეუძლებელია რომელიმე სხვა მმართველობის ფორმის არსებობა, გარდა სასულთნოსა და სახალიფოსი.

1922 წლის 13 ივლისს მთავრობის მეთაურად არჩეულმა რაუფ-ბეიმ, ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა განაცხადა: “სულითა და ხორციტ სულთნისა და ხალიფას ერთგული ვარ, ჩვენი ვაღია, რომ ბოლომდე სულთნის მომხრე დავრჩე. ოპოზიციას სურს დაითხოვოს თურქეთის ეროვნული კრება და გადასცეს ხელისუფლება “კანონიერ მფლობელს-სულთნს”[43.65].

ათათურქმა შეძლო დაერწმუნებინა ოპოზიციონერი თანამებრძოლები, რომ ეს ღონისძიება ითვალისწინებდა მხოლოდ სულთნის ხელისუფლების გაუქმებას, ხალიფას ხელისუფლებას კი არავინ შეეხებოდა[50.26].

შექმნილ სიტუაციაში ათათურქს კარგად ესმოდა, რომ შიდა ძალებთან მიმართებით საჭირო იყო დათმობა, რომელთაც საკუთარი სიტყვა ეთქმით არა მარტო სამხედრო მოქმედებებში, არამედ შიდა უთანხმოებებშიც. საჭირო იყო მთავარი ყურადღება გადაეტანათ საგარეო ფაქტორზე და მიეღწიათ თურქეთის დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისათვის. ეს ყველაფერი სწორედ იმ ეტაპზე მოხდა, როდესაც ქემალი საკუთარ თავში ხაზავდა ახალი, დამოუკიდებელი თურქეთის რესპუბლიკის გეგმას და შიდა ძალთა ოპოზიციური აქტიურობა მას საერთოდ არ აწეობდა [38.26].

ქემალისტური ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვანი დიპლომატიური მოვლენა იყო ლოზანის კონფერენცია.

1922 წლის 22 ნოემბერს ლოზანაში (შვეიცარია) გაიხსნა სამშვიდობო საზავო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ: დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, საბერძნეთის, იუგოსლავიის, რუმინეთის,

თურქეთის და აშშ (მეთვალყურის სახით) წარმომადგენლები. გარდა ამისა, შავი ზღვის სრუტეების რეჟიმის განხილვაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა რესპუბლიკებიც - რუსეთი, უკრაინა, საქართველო(რომლებიც ერთიან დელეგაციას წარმოადგენდნენ) და ბულგარეთი. თურქეთის სახელმწიფოს წარმომადგენდა ისმეთ ფაშა [65.23].

ლოზანის კონფერენციის სხდომები დაძაბულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ის იყო თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შემაჯამებელი, დასკვნითი ეტაპი. მას უნდა მოეწესრიგებინა თურქეთსა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის ფინანსურ-ეკონომიკური საკითხები; კაპიტულაციის რეჟიმი; დაედგინა სახმელეთო და საზღვაო საზღვრები; აგრეთვე გადაეწყვიტა ანტანტის სახელმწიფოების მიერ თურქეთის დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი და სხვა.

კონფერენციას თავმჯდომარეობდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი კერზონი.

1923 წლის 23 იანვარს მოკავშირეებმა თურქეთს წარუდგინეს ახალი ხელშეკრულების პროექტი. რომელიც შედგებოდა 9 განყოფილებისა და 160 მუხლისაგან. ფაქტობრივად ეს იყო სევრის ხელშეკრულების ახალი ვარიანტი, რომელიც საგრძნობლად ბლაღავდა თურქეთის ეროვნულ ინტერესებსა და დამოუკიდებლობას. თურქეთმა უარი განაცხადა მიეღო მოკავშირეთა ხელშეკრულების პროექტი.

1923 წლის 4 თებერვალს კონფერენციამ შეწყვიტა მუშაობა. მიუხედავად ამისა, მოკავშირეებმა ვერ გაბედეს

განეხლებინათ საომარი ოპერაციები თურქეთის წინააღმდეგ [34.38].

კონფერენციის ჩაშლის შემდეგ თურქეთში გაძლიერდა მუსტაფა ქემალის წინააღმდეგ გამოსვლები.

ფეოდალურ-კლერიკალური და კომპრადორული ბურჟუაზიის დეპუტატებმა გადაწყვიტეს ესარგებლათ დაძაბული მდგომარეობით და მიეყენებინათ დარტყმა მუსტაფა ქემალზე. ისინი კვლავ მოითხოვდნენ, რომ ხელისუფლება გადაეცათ სულთნისათვის და წასულიყვნენ დათმობაზე მოკავშირეთა მიმართ, მაგრამ უშედეგოდ.

7 მარტს პარლამენტის სხდომაზე დეპუტატების უმრავლესობამ უარყო მოკავშირეთა მიერ შემოთავაზებული საზავო ხელშეკრულების პროექტი, გამოუცხადა ნდობა თურქეთის დელეგაციას და დაავალა მას გაეგრძელებინა მოლაპარაკება, რომელიც შეესაბამებოდა თურქეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას.

თურქეთის მთავრობამ შეიმუშავა სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტი. მასში მოკავშირეთა პროექტის 126 მუხლიდან უცვლელად დატოვეს 17 მუხლი, ხოლო 22 ამოიღეს, დანარჩენ მუხლებში შეიტანეს ცვლილებები.

1923 წლის 1 მარტს მოკავშირეთა დელეგაციის მეთაურობით ლონდონში შეიკრიბნენ თურქეთის კანონპროექტის განსახილველად.

23 აპრლს გაიხსნა ლოზანის კონფერენციის მეორე სესია. პირველი სესიისაგან განსხვავებით იგი მიმდინარეობდა უფრო მშვიდობიან ატმოსფეროში. მხარეები ცდილობდნენ მიეღწიათ შეთანხმებისათვის.

1923 წლის 24 ივლისს ხელი მოაწერეს სამშვიდობო საზავო ხელშეკრულებას.

ლოზანის ხელშეკრულებით, თურქეთმა უარი თქვა თავის უფლებებზე ერაყზე, სირიაზე, ლიბანზე, პალესტინაზე, იორდანიასზე, ეგვიპტეზე, სუდანზე და აღიარა ინგლისის მიერ კუნძულ კვიპროსის დაპყრობა.

თურქეთმა აღიარა შავი ზღვის სრუტეებით სარგებლობის უფლება სავაჭრო და სამხედრო გემებისათვის, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროს. ლოზანის ხელშეკრულებით თურქეთი თვითონ განაგებდა თავის ფინანსებს; გაუქმდა დიდი სახელმწიფოების ფინანსური კონტროლი; მთლიანად შეწყდა კაპიტულაციის რეჟიმი; თურქეთში მცხოვრები უცხოელები უნდა დამორჩილებოდნენ თურქეთის კანონმდებლობას[65.58].

ლოზანის კონფერენციაზე თურქეთის ყველაზე დიდი მონაპოვარი იყო ყველა სახელმწიფოს მიერ მისი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ცნობა.

მიუხედავად რიგი კომპრომისისა და დათმობისა, მთლიანობაში ლოზანის ხელშეკრულება წარმოადგენდა თურქეთის სერიოზულ გამარჯვებას.

ფრანგი ისტორიკოსი ბენუა მეშენი ასე აფასებს ლოზანის კონფერენციის შედეგებს: “ლოზანის კონფერენცია იყო თურქეთის დიდი დიპლომატიური გამარჯვება. საერთაშორისო თვალსაზრისით ისმეთ ფაშამ შეძლო მიეღო ყოველივე ის, რისთვისაც იბრძოდნენ მუსტაფა ქემალი და მისი ჯარისკაცები ოთხი წლის განმავლობაში”[32.70].

ამრიგად, თუ ეროვნულმა მოძრაობამ მუსტაფა ქემალის მეთაურობით მიიღო თურქი ხალხის ნაციონალური ის-

ტორიის დაწეების სახელწოდება, მაშინ ლოზანის ხელშეკრულება, შეიძლება ჩაითვალოს თურქეთის ეკონომიკური ისტორიის დასაწყისად. ლოზანის ხელშეკრულება წარმოადგენდა ისტორიის გამოძახილს არა მარტო თურქეთისათვის, არამედ ყველა კოლონიური და ნახევრადკოლონიური აღმოსავლური ქვეყნებისათვის.

თურქეთი გამარჯვებულის რანგში არაერთხელ გამოსულა, თუმცა, ლოზანამდე ის არასოდეს გადაქცეულა აღმოსავლური ისტორიის მაგალითად. ამ აზიურმა სახელმწიფომ მოახერხა არა მარტო მოეგო ბრძოლა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ერთიან ფრონტზე, არამედ აიძულა ისინი ეღიარებინათ თავიანთი დამარცხება[35.97].

## თავი II. ათათურქი და ქემალიზმის პრინციპები

ქემალიზმის პრინციპებმა რევოლუციას ღირსეული სახე მისცა, რომლებიც ათათურქის აზრით საფუძვლიანი და სისტემური დებულებებია. ყოველი მათგანი სრულიად დამოუკიდებელია და ეხება ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ცალკეულ სფეროებს. ამავე დროს ეს დებულებები ერთმანეთისაგან გამომდინარეობენ და ერთმანეთს ეთანხმებიან. ამიტომაც, მათი გაგება და გააზრებაა საჭირო. ისინი თურქი ხალხისათვის თანამედროვე ცხოვრების უზრუნველყოფის მთავარი პირობებია [69.89].

პატრიოტიზმი, დამოუკიდებლობა და ეროვნული სუვერენიტეტი გახდა ქემალისტური რევოლუციის მთავარი იდეოლოგია. "თანზიმათისა" და საფრანგეთის რევოლუციის გავლენით მუსტაფა ქემალმა შეიმუშავა მთელი რიგი პრინციპები: ხალხოსნობა; ლაიციზმი; ნაციონალიზმი; ეტატიზმი; რესპუბლიკანიზმი და რევოლუციონიზმი[13.20].

ქემალისტური რეფორმებისა და ცვლილებების წარმონეწასთან ერთად განვიხილათ ქემალიზმისა და თურქეთის რესპუბლიკის იდეოლოგიის სტრუქტურის განმსაზღვრელ თითოეულ პრინციპს.

## §1. რესპუბლიკანიზმი

რესპუბლიკანიზმი - (ჯუმაურიეთ ჩილიქ -ანუ რესპუბლიკური იდეების დაცვა-განვითარება) ათათურქის პირველი დებულებაა და სახელმწიფოში მაღალი ცივილიზაციისა და დემოკრატიის გამოხატვის ფორმაა, რაც თურქი ხალხის ხასიათსა და თვისებებში ყველაზე მეტად ჩანს. რესპუბლიკური მმართველობის ფორმა კი რესპუბლიკურ თურქეთში ყველაზე მოსახერხებელ სახელმწიფო მექანიზმს წარმოადგენს[70.91].

1923 წლის 29 ოქტომბერს ქემალისტებმა გამოაცხადეს რესპუბლიკური მმართველობა, რომელიც ანატოლიის ახალი პოლიტიკური სისტემის - დემოკრატიის გამოხატულება გახდა(მთავრობა, რომელსაც ირჩევს ხალხი და მოქმედებს მათი ინერესების მიხედვით), რომელიც იმდროინდელი თურქეთისათვის საკმაოდ არატრადიციულ განვითარებას წარმოადგენდა.

ქემალისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თურქმა ხალხმა მიიღო ახალი პოლიტიკური სისტემა - “ხალხის მთავრობა,” “ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო.”

განმათავისუფლებელი ბრძოლიდან მოყოლებული, ქემალისტები ეყრდნობოდნენ რა ამ იდეებს, შეუდგნენ ქვეყნის მშენებლობას.

ქემალისტური პრინციპი არ იყო მიმართული ამა თუ იმ კლასისა და ელიტისათვის განსაკუთრებული პირობის შესაქმნელად. საქმე წყდებოდა მთელი ხალხის ინტერესების დასაცავად. სწორედ დიდი ეროვნული კრების დეპუ-

ტატებმა, რომლებიც წარმოადგენდნენ მთელ საზოგადოებას, ხალხის სახელით გამოაცხადეს რესპუბლიკური მმართველობა.

იმავდროულად, იმ პერიოდში პირველ ქემალისტებს შორის იყო რესპუბლიკისადმი მტრულად განწყობილი საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომლებიც მოსახლეობაში სულთან-ხალიფას რელიგიური ძალაუფლების გაგვლენას ქადაგებდნენ, რაც შესამჩნევად აძლიერებდა მათ მდგომარეობას სახლმწიფოს მართვაში.

1920 წელს მთელმა რიგმა დეპუტატებმა სავალდებულოდ ჩათვალეს უზრუნველყოთ ხალხის სუვერენიტეტი. მათ მოეჩვენათ, რომ ისინი ილაშქრებდნენ ისლამური კანონის წინააღმდეგ (რელიგიური წინამძღოლი ყოველთვის წამოადგენდა პოლიტიკურ ხელმძღვანელსაც). სინამდვილეში თურქი ხალხი არ იყო მზად ეროვნული სუვერენიტეტის შეთვისებისა და განხორციელებისათვის. მას არ გააჩნდა აუცილებელი ისტორიული გამოცდილება, არც პოლიტიკური განათლება. ქემალისტური მოძრაობა ხალხის სუვერენიტეტის შესახებ არ იყო უბრალო რეფორმა, არამედ ის იყო ნამდვილი რევოლუცია. შეიძლება დავასკვნათ, რომ რესპუბლიკის დამყარება წარმოადგენდა ამ მოწოდების პოლიტიკურ გამოხატულებას, მაგრამ ხალხის გამოცდილებამ დემოკრატიისა და რესპუბლიკის საკითხში დაბადა მრავალი პრობლემა და პოლიტიკური მღელვარება, რომელსაც განიცდიდა და დღესაც განიცდის თურქეთი. 1960 წლიდან დაწყებული სამხედრო გადატრიალებები (1971;1980) ამის მხოლოდ შედეგებს წარმოადგენდა[23.45].

თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ: 1924; 1961 და 1982 წლების კონსტიტუციების მიხედვით თურქეთში რესპუბლიკური მმართველობის ფორმაა, მისი შეცვლა და თვით შეცვლის საკითხის დაყენებაც კი კანონით დაუშვებელია [31.28].

ათათურქი ამბობდა, რომ: „რესპუბლიკური მმართველობა ეს იგივეა, რაც დემოკრატიულ სისტემას დამატებული სახელმწიფო. რესპუბლიკის ზნეობრივი საფუძველი საკუთარი მორალის გაწონასწორებულობის და სიმტკიცის ფორმაა“[74.11].

როგორც ვხედავთ, ეს პრინციპი ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია თურქეთში რესპუბლიკური მმართველობისათვის.

## §II. ლაიციზმი

დასავლური მოდელის მიხედვით, თურქული საზოგადოების განვითარებაში ლაიციზმმა პირველხარისხოვანი როლი ითამაშა. ევროპაში ეკლესიისა და სახელმწიფოს გამოყოფა დაიწყო აღორძინებისა და რეფორმების პერიოდში. საერო სახელწიფოს - თავად იდეა კი დამკვიდრდა ფრანგული რევოლუციის დროს.

საერთოდ ოსმალეთში, მიუხედავად იმისა, რომ გატარებულ იქნა მთელი რიგი პროგრესული რეფორმები, ცვლილებები რელიგიის სფეროში არასოდეს მომხდარა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროსაც კი ქმედისტები არ შეხებიან რელიგიურ პრინციპებს, მაგრამ

ასეთი ცნებების წინ წამოწევით, როგორცაა "ხალხის ნება;" "ერის სუვერენიტეტი" და "პატრიოტიზმი" ისინი ისწრაფოდნენ გაეთავისუფლებინათ ისლამი პილიტიკური ელემენტებისაგან[32,34].

ლაიციზმს ათათურქისეულ სახელმწიფოებრივ გაგებაში დიდი ადგილი უკავია. საზოგადოდ ეს დებულება ფართო გაგებას მოიცავს. იგი სახელმწიფოსაგან რელიგიის აუცილებელ გამოყოფას და პოლიტიკური ცხოვრებიდან სასულიერო პირების ჩამოშორებას გულისხმობს. იგი ფართო მსჯელობის საკითხია და რელიგიური არსის სწორ გაგებას მოითხოვს.

ამ საკითხთან დაკავშირებით ათათურქი თავის გამოსვლებში დასძენდა: „ღმერთით, რელიგიით და რწმენით ადამიანებზე ზემოქმედება არ შეიძლება, სარწმუნოება და პოლიტიკა ურთიერთსაპირისპირო ცნებებია, ამიტომაც რელიგიური მოძღვრების გამოყენება პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმოუდგენელია. სარწმუნოება არსებობს, ის სავალდებულო და აუცილებელია, რის გარეშეც საზოგადოების გაგრძელება-გადარჩენა შეუძლებელია, ჩვენი სარწმუნოება გამართლებული, ყველაზე ღირსეული და ყველაზე ბუნებრივია“[77.327].

ლაიციზმი (ლაიქლიქ, წარმოდგება ფრანგული სიტყვიდან „laicite“, რაც ნიშნავს საერო ხასიათს). იგი გულისხმობს რელიგიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან. თურქეთის 1921 და 1924 წლების კონსტიტუციებში ჩადებული დებულება „სახელმწიფო რელიგია ისლამია“ გაუქმდა 1928 წლის 10 აპრილის №1222 კანონით. ათათურქი ამბობდა: "ჩვენ პატივს ვცემთ რელიგიას, არ ვეწინააღმდეგებით

არავითარ აზრებს და აზროვნების წესს. ჩვენ მხოლოდ ვცდილობთ, რომ რელიგიური და სახელმწიფო საქმეები არ აირიოს ერთმანეთში“[27,23].

ე.ი. ლაიციზმის მთავარი შინაარსი და მიზანი მდგომარეობს სარწმუნოებისა და სახელმწიფოს სხვა დანარჩენი საკითხების ერთმანეთისაგან გამოყოფას, სახელმწიფოს მართვასა და საერთოდ პოლიტიკაში სასულიერო პირთა როლის შემცირებას.

თურქეთის სინამდვილეში, წლების განმავლობაში სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში სასულიერო პირები მონაწილეობდნენ, რაც ხელს უშლიდა ქვეყნის წინსვლას და მას მუდმივად ერთფეროვან სტადიაზე ტოვებდა. ამიტომ იყო, რომ ათათურქმა ლაიციზმის დებულება თურქეთის რესპუბლიკის და საერთოდ თანამედროვე თურქული საზოგადოების ფუნდამენტალურ პრინციპად გამოაცხადა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლაიციზმი რწმენის საწინააღმდეგო, უპატივცემულობის დებულებაა. ათათურქი ამბობდა: „ჩვენი სარწმუნოება, ჩვენი ერის სიმტკიცისა და სიძლიერის, ამ ორი მთავარი ღირსების მფლობელია. ამიტომ ჩვენი ერის სინდისიდან ამ ღირსების ამოღება შეუძლებელია“ [5.210].

თურქეთში ლაიციზმი დროის უმოკლეს მონაკვეთში შემოიღეს. მას თავდაპირველად ახალგაზრდა ოფიცრობა უჭერდა მხარს. ათათურქი ქვეყნის საერო მმართველობაში ლაიციზმს დიდ ადგილს უთმობდა, რადგანაც საუკუნეების განმავლობაში ისლამი თურქეთში საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი იყო. საინ-

ტერესია, თუ როგორ წარმოედგინა მას ლაიციზმი და როგორ ახორციელებდა მას ქვეყნის ცხოვრებაში.

როგორც ზემოთ აღიშნა „ლაიციზმის“ პირდაპირი მნიშვნელობა რელიგიის სახელმწიფოდან გამოყოფაა, მაგრამ ათათურქისეულ „ლაიციზმს“ უფრო მრავალმხრივი და ამასთანავე კერძო მნიშვნელობაც გააჩნია. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ათათურქის მოსაზრებაც: „რელიგიური იდეის სახელმწიფო საქმეებისაგან გამოყოფაში - რესპუბლიკა ხედავს ერის პროგრესის პირველხარისხოვან ფაქტორს“[1.24].

ქმედისტების აზრით, „ლაიციზმის“ პრინციპი, რესპუბლიკურ თურქეთში უზრუნველყოფს პიროვნების სულიერ, ფიზიკურ და რელიგიურ თავისუფლებას, სასულიერო და საერო დაწესებულებების ხელშეუხებლობას, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, რელიგიური უფლებების დაცვას და კონკრეტულად, რელიგიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან.

მუსტაფა ქემალ ათათურქის აზრით, “სახელმწიფოს მართვის, მოქმედი კანონებისა და კონსტიტუციის საფუძველია არა რელიგიური ელემენტები, არამედ მეცნიერული სიახლენი და მოდერნიზებული ტექნოლოგია”[7.200]. სწორედ ამგავრი ქმედებითაა შესაძლებელი თურქულ სამყაროში არსებული ყველა დაწესებულების ამოქმედება და განვითარება თანამედროვეობისათვის მისაღები ფორმულებითა და მეთოდებით. იგი წინააღმდეგი იყო რელიგიის ბოროტად გამოყენებისა. ამ საკითხთან დაკავშირებით ათათურქი აცხადებდა: „ჩვენი მუხები ციდან ან იდეალისტური სამყაროდან არ გვევლინებიან, მათ ცხოვრება

გვიმზადებს. ჩვენი გზების მაჩვენებელია სახელმწიფო, სადაც ცხოვრობს თურქი ხალხი და ვქმნით ჩვენს ისტორიას. მძიმე ხვედრი და ტანჯვა კი ჩვენი მუხებისაგან მოდის“[28.21].

ათათურქისეული გამოთქმა: „ჩვენი მუხები ციდან და იდეალისტური სამყაროდან არ გვევლინება“ – ლაიციზმის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს. მიგვაჩინია, რომ ათათურქს სურდა, სახელმწიფოს წარმართვა არა რელიგიური პრინციპების გამოყენებით, არამედ განათლებული, მეცნიერული საფუძველებით. მისი მოსაზრებით „ლაიციზმი“ პირდაპირ აღიქმება როგორც სახელმწიფოს მართვა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საფუძველზე რელიგიის ჩაურევლობის გარეშე.“

ათათურქი ლაიციზმის საკითხის განზოგადებასთან დაკავშირებით შემდეგნაირად ხსნის: „ნაციონალური, ეროვნული ნება-სურვილი საზოგადოებისათვის მძიმე ტვირთია, ყველაზე წმინდა, სარწმუნოების თავისუფლება მხოლოდ სახელმწიფოსაგან რელიგიის გამოყოფას კი არ ნიშნავს, არამედ ყველა თანამემამულის სულის, ღოცვის და რწმენის თავისუფლების დაცვას“ [68.92].

ლაიციზმის ამგვარი მიდგომა რელიგიისადმი უნდა გამორიცხავდეს სასულიერო ხელისუფალთა და ფანატიკოსების ყოველგვარ მცდარ შეხედულებას ქვეყნის ცხოვრებაზე. ასეთ გარემოში კი რელიგიას უნდა მიეცეს მისი კუთვნილი ადგილი. ამ თავლსაზრისით ათათურქ ისეულმა ლაიციზმა საშუალება უნდა მისცეს რელიგიას სრულყოფილად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობანი.

ქემალისტური ლაიციზმი, სახელმწიფოებრივ უფლებებს სახელმწიფოს აკუთვნებს, რელიგიურ უფლებებს კი რელიგიას და ამ თვალსაზრისით ცდილობს გამოჰყოს რელიგია სახელმწიფოსგან.

საერო ხელისუფლების მიმდევრები თვლიან, რომ თუ რელიგია მხოლოდ რელიგიურ უფლებებით ისარგებლებს, ამით გამოირიცხება მისი დაპირისპირება სახელმწიფოსთან, რაც რესპუბლიკურ თურქეთს მისცემს წინსვლისა და განვითარების შესაძლებლობას. ამ საკითხთან დაკავშირებით თურქეთის საზოგადოებაში სხვადასხვა შეხედულებები არსებობს:

თურქი პროფესორი ფ. აჰმადი იძლევა ლაიციზმის შემდეგ განმარტებას: „ლაიციზმი - ეს არის სახელმწიფოს მართვა არა რელიგიური პრინციპებით, არამედ ხალხის მიერ არჩეული თურქეთის უმაღლესი ეროვნული კრების მიერ მიღებული კანონების შესაბამისად. ლაიციზმის პრინციპებით ყველა მოქალაქე თავისუფალია და აქვს რელიგიური რიტუალების ჩატარების უფლება. დაუშვებელია პროპაგანდა, როგორც რელიგიის სასაგებლოდ, ასევე მის საწინააღმდეგოდ“ [61.90].

პროფესორი მ. თოკერი აღნიშნავდა, რომ: „ლაიციზმი სურთ წარმოვიდგინონ როგორც უღმერთობა. ყველა ლაიცისტურმა ძალამ თურქეთში უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე და შემჭიდროვდეს, რათა დაიცვან „ლაიციზმი,“ ქემალიზმის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი“ [24.17].

ცნობილი თურქი თეოლოგი ფეთჰულაჰ გიულენი ლაიციზმს საკითხს შემდეგნაირად განმარტავს: “ლაიციზმი ნიშნავს რელიგიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისგან გა-

მიჯვნას. რელიგიის არსი არასოდეს არის ძალადობა. სარწმუნოება ერთ ჭერქვეშ აერთიანებს ხალხს, ხოლო პოლიტიკაში არსებულმა გათიშულობამ და სარწმუნოების პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენებამ შესაძლოა საფრთხის ქვეშ დააყენოს სარწმუნოებრივი ერთობაც. პოლიტიკურ ამბიციებსა და ფანატიზმს ბოლო არა აქვს, ფანატიკოსები იქამდეც კი მიდიან, რომ იმ ხალხს, რომელიც მათ მხარს უჭერს, სარწმუნოებიდან განდგომილებად ნათლავენ” დასძენს გიულენი[84.94].

ლაიციზმის ისტორია როგორც საერო სახელმწიფოს პრინციპი თურქეთში გულისხმობს მის ევროპეიზაციას. იმდენად, რამდენადაც ლაიციზმი არის შედეგი არა თურქული კულტურის დამოუკიდებელი განვითარებისა, არამედ შედეგი ევროპეიზაციისა, რაც ხშირად წარმოადგენდა მსჯელობის საგანს. მთელი XIX საუკუნის განმავლობაში თურქეთის საზოგადოებაში თითქმის საერთოდ არ არსებობდა ლაიციზმის ფილოსოფიურ-კულტურული საფუძველი, რაც საშუალებას მისცემდა მას პოლიტიკურ სფეროში დამკვიდრებას. ლაიციზმი როგორც სერიოზული მოძრაობა არ გამოვლენილა სულთან აბდულ ჰამიდ მეორის ეპოქამდე(1876-1908). ამ დროს ახალგაზრდა თურქთა მიერ განხორციელებულმა რევოლუციამ, რომელსაც ”ერთობისა და პროგრესის პარტია” ხელმძღვანელობდა უზრუნველყო თურქეთისათვის 1876 წლის კონსტიტუცია. ამის შემდეგ აღნიშნული პარტია 1919 წლამდე (ოსმალეთის სახელმწიფოს დაცემამდე) რჩებოდა პოლიტიკურ ძალად. ”ერთობისა და პროგრესის პარტიას” ლაიციზმი ოფიციალურად არ მიუღია. იგი ატარებდა საერთო

პოლიტიკას. პარტიის დაარსებისთანავე მასში გამოიკვეთა ისლამის მომხრეთა სხვადასხვა ჯგუფი. ერთის მხრივ არსებობდა ისლამის როგორც აქტიური პოლიტიკური საგნის მომხრეთა ჯგუფი, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ აქტუალური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემების მოგვარება შეიძლებოდა მხოლოდ ისლამზე დაყრდნობით.

მეორეს მხრივ, არსებობდა ლაიციზმის მომხრეთა მცირე ჯგუფი. გარდა ამისა აქვე იყო თურქეთის ნაციონალური მოძრაობა. ასეთ ვითარებაში პარტია ყველანაირად ცდილობდა შეენარჩუნებინა ლოიალური ურთიერთობა ყველა ამ ჯგუფების მიმართ. მოძრაობამ თურქეთში ლაიციზმის დასამკვიდრებლად, როგორც ითქვა, გასაქანი კპოვა განმანთავისუფლებელი მოძრაობის შემდეგ. ათათურქმა ლაიციზმი მის მთავარ და რადიკალურ პრინციპად გამოაცხადა, სწორედ ამ პოლიტიკამ ნულზე დაიყვანა რელიგიის როლი სახელმწიფო მმართველობაში და გარკვეულ ეტაპზე ქვეყანაში შეკვეცა სასულიერო საზოგადოების როლი. როგორც ერთ-ერთი თურქი მეცნიერი თოფრაქი აღნიშნავს: - "რელიგია თურქეთში გამოიყენებოდა, როგორც პროტესტი ერთპარტიული ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ." ლაიციზმის შედეგი იყო სეკულარიზაცია, რომელიც სამ სფეროდ განხორციელდა თურქეთში:

1) სამოქალაქო - სიმბოლურ სფეროზე; რაც ითვალისწინებდა ნაციონალური და კულტურული ცხოვრების სპეციფიკას; ანბანის შეცვლას; გვართა გამოცვლას; ევროპული ტანსაცმლის შემოღებას; ახალი დროისა და წელთაღრიცხვის დამტკიცებას, ყოველკვირეული გამოსასვლელი დღის და ევროპული მუსიკის დამკვიდრებას.

2) ადმინისტრაციულ - ორგანიზაციულ სფეროზე; ხალიფატის; შეიხულ ისლამის; შარიათის სასამართლოს და ვაკუფის, აგრეთვე ისლამის ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლას.

3) ფუნქციონალურ - იურიდიულ სფეროზე: რაც გულისხმობდა საერთო განათლებისა და სამართალწარმოების შეცვლას და ახალი დასავლური კანონმდებლობის შემოღებას[78.112].

ყოველივე ზემოთქმული წარმოადგენს სერიოზულ ნაბიჯს ლაიციზმისაკენ, მაგრამ სახელმწიფოს მიერ ისლამის საბოლოოდ განსაზღვრა და მის რელიგიურ ჩარჩოებში მოქცევა განხორციელდა მხოლოდ 1928 წლის 10 აპრილს, №1222 კანონით.

ლაიციზმის, როგორც კონსტიტუციური პრინციპის მიღება კი განხორციელდა მხოლოდ 1937 წლის 5 თებერვალს, №3115 კანონით[9.212].

ქვეყანაში ხალიფატის გაუქმება მოხდა კანონით, რომელსაც მხარი დაუჭირა თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ, მაგრამ ქემალისტებს არ შეეძლოთ გართულების გარეშე შეეთავაზებინათ ნახევრად თეოკრატიული რეჟიმისათვის ის პოზიტიური შეხედულებები, რომელსაც თავად აღიარებდნენ. ხალიფატის მომხრეებმა ქემალისტები რელიგიის მტრებად გამოაცხადეს, რომლებიც თავის მხრივ აღიჭურვნენ რა ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპის უპირობობითა და უსაზღვრობით, წაართვეს რელიგიური ხელისუფლება სულთანს და გადასცეს ხალხს. 1921 წლის კონსტიტუციაში, რომელიც მომზადდა დიდი ეროვნული კრების მიერ, არ იქნა აღიარებული არც ერთი კონფესია

სახელმწიფო რელიგიად. მაგრამ 1923 წელს შეტანილი შესწორების წყალობით სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებული იქნა ისლამი. ეს დებულება, რომელიც შენარჩუნებული იქნა 1924 წლის კონსტიტუციაში, საბოლოოდ მოხსნა 1928 წელს. ამით დასრულდა რელიგიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის პროცესი. თურქეთი ამიერიდან სამართლებრივად და კონსტიტუციურად ლაიცისტური, თანამედროვე სახელმწიფო გახდა.

ლაიციზმის შესახებ 1930 წელს მუსტაფა ქემალი ამბობდა: – “რელიგიური იდეის სახელმწიფო საქმეებისაგან გამოყოფაში რესპუბლიკა ხედავს ჩვენი ერის პროგრესის პირველხარისხოვან ფაქტორს.” “ხალიფატის გაუქმება ნიშნავდა ახალი თურქეთის სურვილს საბოლოოდ გაეწყვიტა კავშირი წარსულთან და შეექმნა პროგრესული სახელმწიფო დასავლური დემოკრატიის მაგალითზე”[30.55].

ლაიციზმის ისტორიის არაერთი მკვლევარი ცდილობს ახსნას ფენომენი - თუ როგორ შეძლო საერო ხელისუფლებამ დროის მცირე მონაკვეთში საზოგადოების იმ ცივილიზაციის საზღვრებში მოთავსება საიდანაც ქვეყნის დემოკრატიულ მოდერნიზაციას გაეხსნებოდა გზა. თურქეთში მსგავსი განვითარება გაკვირვებას იწვევს, იმიტომ, რომ ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით, ლაიციზმი თურქეთში არ ყოფილა ევოლუციური ცვლილებების, საზოგადოებაზე საუკუნეების განმავლობაში მომხდარი მოწინავე ფილისოფიური იდეების ზეგავლენის შედეგი.

ევროპაში საერო, ლაიცისტური სახელმწიფოები წარმოიქმნა ბურჟუაზიის გაჩენასთან დაკავშირებით ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ოსმალეთის სახელმწი-

ფოში ეს არ მომხდარა. მიუხედავად “ახალგაზრდა ოსმალების“ და “ახალგაზრდა თურქების“ დიდი მცდელობისა “აზიური ტიპის ფეოდალიზმმა,“ რომელიც ატარებდა ცენტრალიზებულ ხასიათს, ხელი შეუშალა ოსმალეთში ევროპული მოდელის ბურჟუაზიის შექმნას. ის ისტორიული როლი, რომელიც ევროპაში ითამაშა ბურჟუაზიამ, ოსმალეთში სამხედროებმა შეასრულა [45.68].

ლაიციზმის პრინციპი შესაძლებელს ხდიდა აღმსარებლობისა და აზრის თავისუფლების უზრუნველყოფას, მაგრამ თურქეთში ამ პრინციპის ბოროტად გამოყენება დაიწყო კონსერვატიულმა და რეაქციულმა ოპოზიციურმა ძალებმა, რომლებიც თვლიდნენ, რომ რელიგიური სკოლებისა (მედრესეები) და საკულტო ადგილების გაუქმება იყო თავდასხმა აზრის თავისუფლებაზე და აღმსარებლობაზე, ხოლო სინდისის თავისუფლების ქემალისტური პრინციპი კი – ათეიზმია.

ქემალისტებმა, მიუხედავად ოპოზიციური ძალების გამოსვლებისა და მათ შორის არსებული წინააღმდეგობისა, ყოველგვარი უკანდახევის გარეშე გამოიყენეს ლაიციზმის პრინციპი და მთავარ იდეოლოგიად აქციეს რესპუბლიკურ თურქეთში.

ამგვარად, ლაიციზმის გაგება, სწორ გააზრებას მოითხოვს, რის გარეშეც შეუძლებელია საერო, რესპუბლიკური თურქეთის სახელმწიფოს მშენებლობის განსახდერა.

### § III. ნაციონალიზმი

ნაციონალიზმი – კაცობრიობის ახალი და უახლესი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. XIX საუკუნეს “ნაციონალიზმის ეპოქას“ უწოდებდნენ.

ნაციონალიზმის ცნება სხვადასხვა ინტენსივობით იჩენდა თავს XX საუკუნეშიც. მან კიდევ ერთხელ მიიპყრო დიდი ყურადღება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რაც დღესაც გრძელდება. ისმება კითხვა, თუ რა გზას დაადგებიან და რომელ მოდელს აირჩევენ ახლად წარმოქნილი სახელმწიფოები, რომლებშიც თითქმის მთლიანად ან ნაწილობრივ მუსლიმური მოსახლეობაა. ასეთ ფორმად მიიჩნევა ორი: ირანული და თურქული მოდელი.

თურქეთის რესპუბლიკის ფუძემდებელი მუსტაფა ქემალი დარწმუნებული იყო, რომ ერის განვითარებისათვის ერთადერთი გზა – ცივილიზაციის თანამედროვე დონის მიღწევაა, რომელმაც შემდგომში ქემალიზმის სახელწოდება მიიღო[25.45].

ქემალიზმის ერთ-ერთი ქვაკუთხედი ნაციონალიზმია, რომელიც თურქეთში ოფიალური პოლიტიკის რანგში არის აყვანილი და დაფიქსირებულია – კონსტიტუციაში - “ათათურქისეული ნაციონალიზმის” სახელით. მაგრამ თურქული ნაციონალიზმი ერთგავროვანი არაა. მისი სხვადასხვა ფორმის წარმოშობა-განვითარების შესწავლა და ჯეროვნად გათვალისწინება შესაძლებლობას იძლევა არამარტო გაარკვიოს თურქეთის წარსული და აწმყო, არამედ განჭვრიტოს მისი შესაძლო მომავალი[11.23].

ათათურქი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ პრინციპს, რადგან მისი საშუალებით ხდებოდა თურქი ერის ერთიანობის დაცვა და მიზნად ისახავდა თურქეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ხალხთა კონგლომერაციას და თურქი ერის ჩამოყალიბებას[18.36].

ნაციონალიზმი ეს ერის თავისთავადობის ხვედრითი წილი. იგი დაუწერელი, უპირობო საკითხია, რომელიც ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა თურქი ხალხის გადარჩენისათვის ბრძოლაში. სახელმწიფოს არსებობაც კი წარმოუდგენელია ამ დებულების გარეშე.

თურქულ ენაში ამ დებულების აღმნიშვნელი სიტყვაა **“მიილეთნილიქ”**, რომელიც წარმოდგება არაბული სიტყვიდან – მიილეთ - ერი და მისგან ნაწარმოები მიილეთ - ეროვნება[63.125]. ქართულად შეიძლება ითარგმნოს როგორც ეროვნულობაც და როგორც ნაციონალიზმიც. ეს დებულება მიზნად ისახავს ეროვნული თავისებურებებისა და ეროვნული ხასიათის დაცვასა და შენარჩუნებას ეროვნებათა განვითარების ახალი ეტაპის პირობებში.

ათათურქის სიტყვით „ერი უნდა ქმნიდეს სახელმწიფოს საფუძველს, უნდა იყოს მისი დასაყრდენი“. „ჩვენი სახელმწიფოს დასაყრდენი - თურქი ხალხია და რაც უფრო ღრმად არის ეს ხალხი გამსჭვალული თურქული კულტურით მით უფრო ძლიერი იქნება რესპუბლიკა, რომელიც მას ეყრდნობა. ე.ი. ნაციონალიზმის დებულებამ არამარტო უნდა უზრუნველყოს თანამედროვე ერებთან ურთიერთობის პროცესში ეროვნული ხასიათისა და ეროვნული თავისებურებების დაცვა, არამედ ის გულისხმობს აგრეთვე

ეროვნული სახელმწიფოს შექმნას, რომლის საფუძველი იქნება თურქი ერი”[8.292].

ოსმალეთის სახელმწიფოში, სადაც თანაცხოვრობდა 18 ეთნიკური ჯგუფი, რომლებიც სხვადასხვა კონფესიებს მიეკუთვნებოდნენ, არ არსებობდა ნაციონალიზმი - ამ სიტყვის სრული გაგებით. რელიგიური თემის ფაქტორის პარალელურად ეროვნული საკითხის წამოწევა დაწყებული იქნა “ახალგაზრდა ოსმალთა” და “ახალგაზრდა თურქთა მიერ.”

ოსმალეთის სახელმწიფოს კრიზისის დროს, როდესაც ინტელიგენციის წარმომადგენლები ეძებდნენ პრობლემის პოლიტიკურ გადასაწყვეტას, გამოიკვეთა ორი მიმართულება: პირველი გამოხატავდა ქვეყნის სპეციფიკურ ოსმალურ ხასიათს (პანთურქიზმი), მეორე კი ქვეყნის აღორძინებისათვის ისლამური სოლიდარობ ისაკენ გადახრას (პანისლამიზმი)[16.43].

“ახალგაზრდა თურქები” ქვეყნის გადარჩენას ხედავდნენ მხოლოდ მისი დასავლური მიმართულებით განვითარებაში და ამგვარად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ თურქულ სპეციფიკას და წამოიწიეს მოძრაობა “თურქიზმის” სახელწოდებით. თურქიზმის იდეა ეყრდნობოდა ხალხოსნობისა და ნაციონალიზმის იდეებს. გარდა ამისა, იგი მიმართული იყო აგრეთვე თურქულენოვანი ხალხების გაერთიანებისაკენ. მათი ეროვნული საზღვრების გათვალისწინების გარეშე. ეს მიზანი განსაზღვრული იყო სიტყვით “პანთურანიზმი,” (მომდინარეობს თურანისაგან თურქი ხალხის ლეგენდარული ქვეყნის სახელწოდება) [48.23].

ახალგაზრდა თურქებმა შეითვისეს ერთი მხრივ თურქიზმი და მეორეს მხრივ - ერის ევროპული კონცეფცია და შეეცადნენ რეალობად ექციათ “ერის” გაგება, მაგრამ ოსმალეთის ტერიტორიაზე ბალკანური ომების დაწყებასთან ერთად კვლავ აღორძინდა პანისლა მიზმი. იმდენად, რამდენადაც ხელისუფლება ტრადიციულად მიმართავდა ხალხის რელიგიურ გრძნობებზე თამაშს, რათა შეეკრა ისინი და მათში აემადლებინა ეროვნული სული.

როცა ახალგაზრდა თურქთა ლიდერმა და ქვეყნის ფაქტობრივმა მმართველმა ენვერ-ფაშამ ოსმალეთი ჩაითრია პირველ მსოფლიო ომში, წინა პლანზე წამოიწია პანთურქიზმი. ენვერ-ფაშა იმედს ამყარებდა გერმანიის გამარჯვებაზე და გეგმავდა შემოეერთებინა როგორც კავკასია, ასევე ცენტრალური აზია. 1918 წლისათვის, როდესაც ანატოლია ოკუპირებული აღმოჩნდა, ხალხი შეეჯახა ისეთ სირთულეებს, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად უცხო იყო მათთვის. კერძოდ:

1. პირველად - ოსმალეთის სახელმწიფოს ისტორიაში ქვეყანა ოკუპირებული იქნა უცხოური ძალების მიერ;

2. ეროვნული და რელიგიური უმცირესობები მოითხოვდნენ ანატოლიაში მიწების მიღებას საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად;

3. ახალგაზრდა თურქთა მხრიდან “მამულისა” და “ერის” შესახებ წარმოებული დისკუსიების მიუხედავად, ხალხი პრაქტიკულად არ იცნობდა ინტელიგენციას და ჯერ კიდევ არ გააჩნდა ეროვნული თვითშეგნება;

4. 1911 წლიდან ხალხი მუდმივად ეწეოდა ომს. მათ არ განუცდია ისეთი მიმდინარეობების გავლენა, როგორცაა

“პანოსმანიზმი” და “პანთურქიზმი” მაგრამ თანაუგრძობდა “პანისლამიზმს;”

უცხოური ოკუპანტების შემოტევის პირობებში, თუკ ხალხს ჰქონდა ერთადერთი გამოსავალი – ეწარმოებინა ომი ანატოლიაში ყველა ფრონტზე[18.43].

ქემალისტები თურქულ ნაციონალიზმს შემდეგნაირად განსაზღვრავენ: - „თურქული ნაციონალიზმი რომლის პირველხარისხოვანი მიზანია მსოფლიოსთან მშვიდობიანი თანაცხოვრების ფონზე საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება”[54.89].

თურქეთის ეროვნულმა ბურჟუაზიამ შეითვისა თურქიზმი, რომელიც მიმართული იყო დამოუკიდებელი, ეროვნული სახელმწიფოს შექმნისაკენ.

მუსტაფა ქემალის გაგებით თურქიზმი, სხვა არაფერი იყო, თუ არა თურქული ნაციონალიზმი თურქეთის საზღვრებში, რომელიც განსხვავდებოდა, როგორც ოსმალური, ასევე „ისლამური ნაციონალიზმისაგან.” ერმა, - ამბობდა ის, - ”შეიცვალა თავისი საუკუნეობრივი სახე, მან გააერთიანა თავისი ხალხი არა რელიგიური ფაქტორის, არამედ თურქული ეროვნების მიკუთვნების მიხედვით”[52.14].

თურქეთის დიდი ეროვნული კრების პირველსავე სხდომაზე, მუსტაფა ქემალის გამოსვლები ფაქტობრივად ოფიციალურად ადასტურებდა ძველი, დრომოჭმული იდეალებისაგან, თურქული ეროვნული ბურჟუაზიის განთავისუფლებას. ის ამბობდა: - „ნებისმიერ ჩვენს მოქალაქეს აქვს უფლება იყოს რომელიმე დიდი იდეალის თავყანისმცემელი და მიმხრობი, ის ამ საქმეში დამოუკიდებელია, არავის შეუძლია ჩაერიოს ამაში, მაგრამ თურქეთის დიდი

ეროვნული კრება მხარს უჭერს მტკიცე და სტაბილურ პოლიტიკას. რომელიც მიმართულია თურქთა დამოუკიდებლობისაკენ მათ განსაზღვრულ ეროვნულ ჩარჩოებში” [51.100].

სახალხო-რესპუბლიკური პარტია წარმოადგენდა თურქულ ნაციონალიზმს შემდეგი თვალთახედვით: - „თურქული ნაციონალიზმი განსაკუთრებულია ეროვნულ საზღვრებში მცხოვრები ყველა თურქისათვის, მაგრამ ის ამასთანავე გამოხატავს ყველა იმ თურქის მიმართ ძმურ გრძნობებს, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ. ის ეწინააღმდეგება ნებისმიერ სხვა არაეროვნულ პოლიტიკურ მიმართულებას. თურქული ნაციონალიზმი ღიაა მთელი კაცობრიობისათვის და ყველა ხალხისათვის ის არის ნებისმიერი იმ ხალხის გამაერთიანებელი პრინციპი, რომლებიც აღზრდილი არიან ცივილიზირებულ კულტურაზე და ლაპარაკობენ თურქულ ენაზე”[20.45].

ანუ ქემალისტებმა აირჩიენ ცნება „ერის” ევროპული გაგება, რომლის მიხედვით “ერი არის სახელმწიფო, რომელთა მიზანია, თურქეთის რესპუბლიკის ეროვნულ საზღვრებში მცხოვრები ყველა ხალხი გააერთიანოს ერთ ერად. მათი შეკავშირების საფუძველი გახდა ეთნიკურობა, ანუ ეთნიკურად თურქული და მუსლიმური წარმოშობა, არამედ რესპუბლიკის ქვეშევრდომობა. ნაციების შემკავშირებელია სოციალური და კულტურული ფენომენი. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს გარკვეული ტერიტორიები, სადაც ცხოვრობს მისი მოსახლეობა და მოქმედებს ამ სახელმწიფოს იურისდიქცია“

თურქულმა ნაციონალიზმა შედეგად გამოიღო ის, რომ იურიდიულად ანუ პილიტიკურ-სამართლებრივად თურქეთის მთელი მოსახლეობა იქცა თურქად, რაც სრულებითაც არ გამორიცხავდა მათ თურქობას. თურქეთის ეროვნულმა ელიტამ სწორედ, რომ დასავლური მოდელი აირჩია. ქემალისტთა რეფორმებმა და სეკულარიზაციამ გამოიწვია ის, რომ ხალხის შეგნების გადახალისება მოხდა, თუ ადრე მისი რწმენის საგანს წარმოადგენდა ისლამი, დღეს ამ ფუნქციას ასრულებს ერი. ხალხმა დაიწყო იმის გათავისება, რომ ის არ არის არა ისლამური სახელმწიფოს ქვეშევრდომი, არამედ საერო, რესპუბლიკის მოქალაქე. ნაციონალიზმი 30-იან წლებში იქცა თურქეთის მეორე რელიგიად. ქემალისტური ნაციონალიზმის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ის წარმოიქმნა, როგორც იდეოლოგიური ინსტრუმენტი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ასე, რომ თურქული ნაციონალიზმი, ლაიციზმთან ანუ სეკულარიზაციასთან ერთად, წარმოადგენს თურქული პოლოტიკის სისტემას და საზოგადოების “ევროპიზაციის” განმსაზღვრელ ყველაზე მძლავრ ფაქტორს, რომლის გარეშე რესპუბლიკა ვერ მიაღწევდა სუვერენობას და კვლავ გაგრძელდებოდა ფაქტობრივად განწირული სახელმწიფოს რღვევის პროცესი.

ათათურქი ყოველთვის არ იყო თანმიმდევრული პანთურქიზმთან ბრძოლაში. შემდგომ წლებში ის აძლევდა თავისუფლებას იმ ხალხის მოღვაწეობას, რომლებიც პროპაგანდას უწევდნენ რეაქციულ იდეოლოგიას, ეს მიუთითებს თურქული, ბურჟუაზიული იდეოლოგიის უუნარო-

ბაზე, დაეწყო ბრძოლა რეაქციული ტენდენციების წინააღმდეგ, როგორც პოლიტიკაში, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ ამ გარემოებით სარგებლობდნენ რეაქციული წრეები, რომლებიც თავის თავს ათათურქის მომხრეებად და საქმის გამგრძელებლად თვლიდნენ[31.41].

ნაციონალიზმის დებულება უშუალოდ არის დაკავშირებული თურქული ეროვნული თვითშეგნების შექმნასთან. ათათურქი განმარტავს, რომ ”ერს ქმნის ბუნებრივი და ისტორიული ფაქტორები: პოლიტიკური ერთიანობა, საერთო ენა, საერთო სამშობლო, საერთო წარმოშობა, ისტორიული და ზნეობრივი საფუძვლების ერთობა”[24.68].

„ჩვენი ნაციონალიზმი არავითარ შემთხვევაში არ არის ეგოისტური და ამპარტავნული ნაციონალიზმი... ჩვენ არავის მტრები არ ვართ, მხოლოდ ადამიანობის მტრობის მტრები ვართ... სამშობლოში მშვიდობა დედამიწაზე მშვიდობის დებულებაა, ჩვენი ეროვნულობაც სწორედ ამის თანხმობაა“ დასძენდა ათათურქი [64.92].

ნაციონალიზმის პრინციპი თურქი ხალხის ბრძოლის ერთ-ერთი დასაყრდენია. ის ათათურქის მხრიდან განიხილებოდა, როგორც მთავარ მამოძრავებელ ძალად სახელმწიფოებრიობის წინსვლის საქმეში. მითუმეტეს, რომ ნაციონალიზმი ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა თურქეთის ისტორიაში.

ქემალიზმის ნაციონალიზმის დებულებას დღესაც ეყრდნობა თურქეთის რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკა და ამ დებულების ცხოვრებაში გატარების შედეგად ბევრად უფრო ერთგვაროვანი და თურქულია, ვიდრე მისი არსებობის პირველ წლებში.

## § IV. ხალხოსნობა

ხალხოსნობა - ახლოს დგას ნაციონალიზმის პრინციპთან. ზოგი მკვლევარის აზრით ხალხოსნობა ნაციონალიზმიდან მომდინარეობს და მისი შედეგია. ათათურქის მიხედვით “ხალხოსნობა ესაა – დემოკრატიულობა,” რომელიც არ ცნობს პიროვნებებს შორის პრივილეგიებს და არ ეთანხმება კლასობრივ ბრძოლას[12.23].

ხალხოსნობა წარმოადგენს ქემალიზმისა და სხვა იდეოლოგიურ სისტემებს შორის განმასხვავებელ მნიშვნელოვან ელემენტს. მისი უმთავრესი მიზანი იყო ხალხში განათლებისა და კულტურის შეტანა, განურჩევლად მათი კლასობრივი კუთვნილებისა. თანასწორუფლებიან მოქალაქეთა საზოგადოების შესაქმნელად, ქემალისტები აუქმებდნენ ოსმალეთის იმპერიისაგან მემკვიდრეობით დარჩენილ არისტოკრატიულ ტიტულებს და პრივილეგიებს.

ოსმალეთის არსებობის დროს საზოგადოება დაყოფილი იყო ორ კლასად: საშუალო კლასი (გლეხები, ჯარისკაცები) და პრივილეგირებული კლასი (ოფიცრები, მმართველი წრეების წარმომადგენლები). სახელმწიფოს მართვა ხელთ ეპყრა პრივილეგირებულ ფენას, მაშინ როდესაც საშუალო კლასს არ ჰქონდა არანაირი უფლება ჩარეულიყო სახელმწიფო საქმეებში.

ოსმალური საზოგადოება წარადგენდა მრავალფეროვან მოზაიკას, რომელიც მოიცავდა თურამეტ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს და სამ რელიგიას, რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ ყოველგვარი გართულების გარეშე[51.88].

მუსტაფა ქემალი თავის ერთ-ერთ სიტყვაში ხაზს უსვამდა, რომ “თურქეთის რესპუბლიკა წარმოადგენს საზოგადოებას ყოველგვარი სოციალური და კლასობრივი დანაწევრების გარეშე: – არ არსებობს კლასობრივი ინტერესები, მე ახლა ვხვდები ვაჭრებს; ფერმერებს; მშრომელებს; ისინი არ შეიძლება იყვნენ განხილული ერთმანეთის საპირისპირო ფენებად”[35.40].

ქემალისტურმა ჯგუფებმა, რომლებსაც უნდა შეედგინათ პირველი თურქული კონსტიტუცია, ხალხოსნობის პრინციპის დახასიათებისათვის შემდეგი ტერმინოლოგია გამოიყენეს:

მუხლი 2. – ”მთავრობა, რომელიც მომდინარეობს თურქეთის დიდი ეროვნული კრებისაგან, დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ქვეყნის სუვერენიტეტი და მართვა ეკუთვნის ქვეყნის ჭეშმარიტ მფლობელს - ხალხს.”

მუხლი 6. – ”სუვერენიტეტი ყოველგვარი პირობისა და შეზღუდვის გარეშე ეკუთვნის ერს” (ამდაგვარად, სახალხო მმართველობის ხასიათი დე-ფაქტო დამოკიდებულია ხალხის თვითგამორკვევაზე).

მუხლი 8. – ”თურქი ხალხის მმართველობა იმყოფება დიდი ეროვნული კრების კონტროლის ქვეშ”[36.4].

1920 წლის 20 ივლისს მუსტაფა ქემალი დიდი ეროვნული კრების სხდომაზე ამბობდა: – “ჩვენი იდეოლოგიის ამოსავალი წერტილი ხალხოსნობაა, მთელი ძალაუფლება და ადმინისტრაცია თავიდან ბოლომდე ხალხს უნდა გადაეცეს, ის ხალხის ხელში უნდა იმყოფებოდეს”[73.88].

ამ საკითხთან დაკავშირებით, ერთი წლის შემდეგ მუსტაფა ქემალი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ – “ჩვენი

ხელისუფლება არ ჰგავს სამეცნიერო ნაშრომებში აღწერილ არც ერთ (დემოკრატიულ, სოციალისტურ) თეორიულ მოდელს, ჩვენ თუ დაგვჭირდება მისი სოციოლოგიური განსაზღვრა, მაშინ უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი მოდელი არის სახალხო”[29.33].

1923 წლის 9 სექტემბერს ქემალისტებმა შექმნეს “სახალხო პარტია” (შინაარსობრივად ხალხოსნური პარტია), რომელთა მიზნები იყო:

1. ხალხის მიერ და ხალხისათვის გატარებული ეროვნული სუვერენიტეტის ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა;

2. თურქული ცივილიზაციის დიდების აღდგენა;

3. კანონის აბსოლუტური ბატონობის დამკვიდრება ყველასათვის;

თავდაპირველად, ხალხოსნობის პრინციპი ძლიერ იყო გაჯერებული იდეალიზმით. ტიპიური იყო მასში ჩადებული მისწრაფება კლასობრივი ბრძოლის განადგურებისათვის. ოსმალეთის სახელმწიფოში არსებობდა ჰეგემონიის (ეკონომიკური, რელიგიური და პოლიტიკური) ფორმები, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ხალხოსნობის პრინციპს, რომლის განადგურება ქემალისტებმა ვერ მოახერხეს.

1934 წელს სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ყრილობაზე პარტიის ქემალისტური კონცეფცია ხალხოსნობის შესახებ შემდეგნაირად განისაზღვრა: – “თურქეთში არ არსებობს კლასობრივი ბრძოლა, არც რეგიონალიზმი, არც ფეოდალიზმი, არც პრივილეგირებული ოჯახები და არც მათი კონცეპტუალური გამოხატულებები[72.34].

ამგვარად, ხალხოსნობის (პალქჩილიქი) პრინციპის მიხედვით ხელისფლებამ უნდა იზრუნოს ხალხის კეთილდღეობაზე, იგი თურქი ხალხის ერთ ოჯახად, ერთ ჯგუფად თავმოყრის მნიშვნელოვანი მოვლენაა, ის აძლიერებს და საფუძველს უმაგრებს სახელმწიფოს და არეგულირებს უფლებრივ-მოვალეობრივ ურთიერთობებს სახელმწიფოსა და მის მოქალაქეებს შორის[66.52].

## §V. ეტატიზმი

ეტატიზმის ქემალისტური გაგება ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში სახელმწიფოს ჩარევის პრინციპს, რამაც უნდა განსაზღვროს მისი კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების წესი.

ოსმალეთის სახელმწიფოს ძლიერება ყოველთვის ეფუძნებოდა საგადასახადო სისტემას. მათგან განსხვავებით თურქეთის ახალგაზრდა სახელმწიფო იმედს ამყარებდა მხოლოდ სოფლის მეურნეობაზე, რომელიც ადრე ეკონომიკური ძლიერების გარანტიას არ იძლეოდა. იმისთვის, რომ უზრუნველყოფილიყო ეკონომიკის აღმავლობა, ქემალისტები ფლობდნენ ერთადერთ შესაძლებლობას, ეს იყო სახელმწიფოს აქტიური ჩარევა ამ სფეროში.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში სრულიად გაჩანაგდა ქვეყანა. წვრილი მევაჭრეები და მიწათმფლობელები, მართალია, იბრძოდნენ ქემალისტთა მხარეზე, მაგრამ ისინი არ ფლობდნენ დიდ კაპიტალს, რათა საზოგადოებაში გავლენიან ძალად გადაქცეულყვნენ. ქემალისტები

ცდილობდნენ ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისათვის გააერთიანებინათ წვრილმოვაჭრეები და მიწათმფლობელები. ისინი, ერთის მხრივ ერეოდნენ კერძო წარმოებაში და მეორე მხრივ კი ხალხოსნობასთან დაკავშირებით ცდილობდნენ არ შეექმნათ პრივილეგიური კლასი. ასეთი გამოკვეთილი განწყობილება გარდაიქმნა ეტატიზმის პრინციპად, რომელიც მოსახლეობის რომელიმე კატეგორიის მიმართ გამორიცხავდა ყოველგვარ განსაკუთრებულ უპირატესობას იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი არსებით დახმარებას უწევდნენ რეჟიმს.

1923 წელს ქემალისტებმა ქვეყანაში შექმნილი რეალური სიტუაციის გათვალისწინებით შექმნეს ეკონომიკის “შერეული სისტემა,” ანუ მეურნეობის სახელმწიფო და კერძო სისტემების თანაცხოვრება და ურთიერთქმედება [46.72].

ეტატიზმი (წარმოსდგება ფრანგული სიტყვიდან **Eetat-**სახელმწიფო), ამ პრინციპს ორი განმარტება გააჩნია, ფართო გაგებით იგი ნიშნავს ეკონომიკისა და სოციალურ-კულტურული აღორძინების პოლიტიკის გატარებას, ვიწრო გაგებით კი - სახელმწიფოს წარმმართველ როლს ეკონომიკაში. ეს კი ნიშნავს, რომ ყველაფერს სახელმწიფო აწარმოებს[12.23] ე.ი. ეს პრინციპი სახელმწიფოს აქტიურ პოლიტიკას გულისხმობს ქვეყნის შიგნით. სახელმწიფომ უნდა ითამაშოს მთავარი როლი ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში, ანუ ეს არის სახელმწიფოს სექტორის უპირატესი განვითარება, ანუ **დეველეთ ჩილიქი**.

ცხადია, რომ თურქეთის ბურჟუაზიას არ შეეძლო სოციალისტური რეფორმების გზით წასვლა, ამიტომ თურქეთის ხელისუფალნი ცდილობენ ეპოვათ განვითარების საკუთარი გზა. საჭირო იყო კოლონიური ეკონომიკის მაგიერ დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის შექმნა, რაც თურქეთის რესპუბლიკის საზრუნავს შეადგენდა.

თურქეთის ეროვნული ბურჟუაზია, რომელიც მოექცა ხელისუფლების სათავეში, დაინტერესებული იყო საშინაო ბაზრისა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების გაფართოებით, ეროვნული მრეწველობის შექმნით, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებითა და ქვეყნის შიგნით მიმოსვლის საშუალების, პირველ რიგში, რკინიგზების ახალი ხაზების მშენებლობით, რათა უმოკლეს დროში ქვეყანას მიეღწია ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. ამასთან ერთად ეროვნული ბურჟუაზიის ტრადიციულ ოცნებას წარმოადგენდა უცხოეთის კაპიტალის პოზიციების შესუსტება და ქვეყნის ეკონომიკაში ეროვნული მდგომარეობის დაკავება. ამ საკითხის სწრაფად მოგვარებისა და საერთოდ, ქვეყნის მომავალი ეკონომიკური განვითარების გზების დასახვისათვის 1923 წლის თებერვალ-მარტში იზმირში მოწვეულ იქნა ეკონომიკური კონგრესი. რომელზეც მიღებული სხვადასხვა დადგენილებები (როგორცაა სამრეწველო მშენებლობის, სოფლის მეურნეობის განვითარების, ვაჭრობის, საბაჟო პოლიტიკისა და სხვა) აშკარად მიუთითებენ იმაზე, რომ თურქეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ქვეყნის მომავალი სამეურნეო ეკონომიკურ განვითარებისათვის აირჩევ-

და სახალხო მეურნეობის ძირითად, წამყვან დარგებში ეტატიზმის გატარების გზას[19.25].

ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისას ქემალისტები განსაკუთრებით მიმართავდნენ ნაციონალიზმის პრინციპს. ათათურქი ეკონომიკური სუვერენიტეტის შესახებ ამბობდა: “როგორი მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს პოლიტიკური და სამხედრო გამარჯვებები, ის დიდხანს ვერ გაგრძელდება და გაქრება, თუ ქვეყანა იქნა გამყარებული ეკონომიკური გამარჯვებებით და ეკონომიკური სუვერენიტეტით, ერთადერთი ძალა, ერთადერთი მყარი ფუნდამენტი რომელიც უზრუნველყოფს სრულ წარმატებას, ეს თურქეთის ეკონომიკაა”[79.43].

1927 წელს ქემალისტები იღებენ სპეციალურ “მრეწველობის წახალისების კანონს”, რის საფუძველზეც მთავრობა ცდილობს მაქსიმალური მხარდაჭერა აღმოუჩინოს მრეწველობაში კერძო სექტორს. 30-იანი წლების დასაწყისიდან კი იწყება სახელმწიფოს აქტიური ჩარევა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. თურქეთის სახელმწიფო ხელმძღვანელები და ბურჟუაზიის იდეოლოგები ქემალისტთა ეკონომიკურ პოლიტიკას ანუ ეტატიზმს ხატავდნენ იმგვარად, თითქოსდა ეკონომიკური განვითარების ეს გზა წარმოადგენდა სრულიად ორიგინალურ, თურქეთისათვის ყველაზე უფრო მისაღებ გზას, რომელიც მთელ თურქეთს უმოკლეს დროში მიიყვანდა ეკონომიკურ კეთილდღეობამდე.

ეტატიზმს თურქეთში, 30-იანი წლებიდან მოყოლებული გამოუჩნდა მესობბეთა ერთი ჯგუფი. მათი აზრით, თურქეთისათვის მისაღები ერთადერთი გზა - ეტატიზტური

პოლიტიკაა, რომელიც ერთნაირად არის მისაღები და ხელსაყრელი თურქული საზოგადოების ყველა სოციალური ჯგუფისათვის და წარმოადგენს საქრთო ეროვნულ პოლიტიკურ პრინციპს.

ამ ეტატიზტური პრინციპით, რომელიც მოწოდებულია ააშენოს “ეკონომიკურად განვითარებული, “კულტურული” და “პარმონიული” სახელმწიფო წყობილება, დაკავშირებულია ქემალიზმის ცნობილ სხვა პრინციპებთან: “რესპუბლიკურობა,” “ეროვნულობა,” “ხალხურობა,” “ლაიციზმი” და “რევოლუციურობა.” ეს პრინციპები ეტატიზმის ჩათვლით პირველად იქნა შეტანილი თურქეთის სახალხო რესპუბლიკური პარტიის პროგრამაში 1931 წელს. 1937 წელს კი როგორც კანონი, ფიქსირებული იქნა ცალკე მუხლად კონსტიტუციაში. პარტიის პროგრამაში შეტანილი ეტატიზმის პრინციპი აცხადებდა, რომ “სახალხო პარტია კერძო და ინდივიდუალური ინიციატივის საფუძველად მიღებასთან ერთად მოითხოვს სახელმწიფოს აქტიურ მოქმედებას, განსაკუთრებით ეკონომიკურ სფეროში, იქ სადაც აუცილებელია მაღალი მოგებების მიღება.” რაც შეეხება სხვა პრინციპებს, ყველა ისინი წარმოადგენენ ქემალიზმის იდეოლოგიის პროპაგანდის ქვაკუთხედს. ეს პრინციპები, რომლებიც თავის მხრივ მხარში უდგანან და ავსებენ ქემალისტთა სახელმწიფოს შექმნისათვის ”აღმოჩენილ ეკონომიკურ ანუ ეტატიზტურ პოლიტიკას, წარმოადგენენ მოხერხებულ იარაღს არსებულ ეტაპზე ეკონომიკური აყვავებისათვის. ქემალისტური რეჟიმი თავისი არსითა და ეტატიზტური ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით შეძ-

ლებს უზრუნველყოს მთელი ერის ეკონომიკური ბედნიერება [19.75].

აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ არ უნდა დავიყვანოთ ეტატიზმი მხოლოდ სახელწიფოს ჩარევით ეკონომიკის მართვაში და პროტექციონიზმზე. ქემალისტები მას განიხილავდნენ, როგორც ქვეყნის მოდერნიზაციის, დემოკრატიზაციისა და სოციალური სამართლიანობის ერთ-ერთ ინსტრუმენტს. მიისწრაფოდნენ რა ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ, ქემალისტები გეგმავენდნენ საზღვარგარეთ საწარმოებისა და ვაჭრობის ნაციონალიზაციას, რაც გულისხმობდა ამ უკანასკნელის “თურქიზაციას.” ეს გამოწვეული იყო იმით, რომ რესპუბლიკამდე თურქეთში მთელი ვაჭრობა და წარმოება არა-თურქების ხელში იყო. ანუ საწყის ეტაპზე თურქული ეკონომიკის “დახურული” ხასიათი, მთავრობის მხრიდან მუდმივი და მყარი ზედამხედველობა წარმოადგენდა სუსტი, ეროვნული კერძო წარმოებისაგან გამოწვეული მდგომარეობის იძულებით კომპენსაციას.

ეტატიზმი არის თურქეთის რესპუბლიკის გარდამავალი პოლიტიკა, მისი გამოყენება კი ეროვნული მოძრაობის ლოგიკური დასასრული. ისეთ კომპანიათა ნაციონალიზაცია როგორცაა რკინიგზა, გაზი, პორტები, ქემალისტებისათვის იყო თავიანთი ეროვნული პოლიტიკის მიზანი [39.44].

ეტატიზმის ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსი აჰმად ჰამდი (შემდგომში ბაშარი) თავის გამოცემებში ამბობს, რომ ”ეტატიზმი მისცემს საშუალებას თურქეთს ეკონომიკურ და კულტურულ თვალსაზრისით ავიდეს ევროპის

დონემდე. “დეველეთ ჩილიქი”, რომელიც ევროპის ქვეყნებში წარმოიშვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური მიმართულებით, თურქეთში უპირველეს ყოვლისა აღმოცენდა ეკონომიკური აუცილებლობით. თურქეთი მხოლოდ დევლეთ ჩილიქის გზით დაუახლოვდა ევროპას. თურქეთის ეკონომიკური განვითარებისათვის, წარმოების ზრდისათვის, უმუშევრობის მოსპობისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და სხვა მრავალი ეკონომიური თუ სოციალური საკითხების გადაწყვეტისათვის თურქეთში არის აუცილებელი პირობები, რისთვისაც საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მისი ხელშეწყობა.

აბაშარის აზრით: ”ეტატიზტური პოლიტიკის გატარებისას სახელმწიფოს ეკონომიკური ინიციატივა არ უნდა იქნეს თვითმიზნად განხორციელებული, მას უნდა ჰქონდეს დროებითი ხასიათი. იგი უფრო ენერჯიულად უნდა გატარდეს, ვიდრე სინამდვილეში ტარდება, მხოლოდ იმისთვის, რომ სწრაფად მიაღწიონ შედეგს და დასრულდეს, ე.ი. ეკონომიკური ინიციატივა თანდათანობით კერძო კაპიტალს გადაეცეს”[46.92].

ეტატიზმის პოლიტიკის გატარებით თურქეთის ეროვნულმა ბურჟუაზიამ მნიშვნელოვნად განამტკიცა არამართო თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციები, არამედ სახელმწიფოს მატერიალური ბაზაც. ერთდროულად საგრძნობლად შეზღუდა უცხო კაპიტალის პოზიციებიც და ხელი შეუწყო კაპიტალიზმის განვითარებას. მაგრამ ამასთან ერთად, ეროვნულმა ბურჟუაზიამ თანდათანობით გადაუხვია ეტატიზმის ქემალისტური პრინციპებიდან, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დაწყების

შემდეგ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური ინტერესები დაუკავშირა დიდ სახელმწიფოთა ინტერესებს[19.10].

ამრიგად, თავისი სპეციპიკიდან გამომდინარე თურქული ეტატიზმი ანუ ქემალისტური ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს, როგორც “შერეული ტიპის” ეკონომიკას, რაც ფაქტობრივად კაპიტალისტური სისტემისათვის ამზადებდა საფუძველს. საბოლოო ჯამში ამ ეკონომიკურმა სისტემამ თურქეთს მისცა კაპიტალიზმის განვითარების შესაძლებლობა და უზრუნველყო ბურჟუაზიის კლასის წარმოქმნა, რომელმაც თავისი პოზიციები გაიმყარა[29.46].

## §VI. რევოლუციონიზმი

რევოლუციონიზმი (ინქილაფჩილიქ) ერთის მხრივ გულისხმობს საზოგადოების მუდმივ განვითარებას და მეორეს მხრივ, ქემალისტური რევოლუციის სახელით აერთიანებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პრინციპს.

”თავისუფლება ხალხის თავისუფალი აზრისა და სიტყვის გამოხატულებაა, თავისუფლება ჩემს ხასიათშია. თავისუფალი საზოგადოება კი ძლიერი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს საფუძველია”- ამბობდა ათათურქი [80.55].

დამოუკიდებლობის დებულებას ქემალი წინა პლანზე აყენებდა. იგი ხომ თურქი ხალხის პატივმოყვარეობის, ეროვნული ღირებულებების, თავისუფლების, თვითმყოფადობის, თავისთავადობის მნიშვნელოვანი ნიშანი და მოვლენა იყო. ამიტომაცაა, რომ ამ ხალხის ეროვნული ბრძოლის ლოზუნგი ”დამოუკიდებლობა ან სიკვდილი” გახდა.

ათათურქის აზრით "დამოუკიდებლობა გულის ხმობს პოლიტიკური ვითარების, მატერიალური მდგომარეობის, ეკონომიკის, სასამართლო, სამხედრო და კულტურული ცხოვრების ერთად შერწყმას თავისუფლებასა და შეუზღუდაობასთან. აქედან რომელიმეს არარსებობის შემთხვევაში, დამოუკიდებლობის სწორად გაგება, მისი ახსნა-განმარტება შეუძლებელი იქნებოდა..." "დამოუკიდებლობის და თავისუფლების განსაზღვრა ფართო მსჯელობის საგანია და ის პატიოსანი ხალხის კუთვნილი დებულებაა" [82.90]. ათათურქის ამ სიტყვებს დიდი ფასი აქვს, რადგანაც დამოუკიდებლობის არმქონე ერმა, რაც არ უნდა სიმდიდრეს, კეთილდღეობას და დოვლათს მიაღწიოს, ცივილიზებული ერების მხრიდან დამსახურებას ვერ მოიპოვებს.

თურქი ხალხის სახელმწიფოებრიობის ბრძოლის იდეა, ყოველთვის ატარებდა ეთნოცენტრისტულ და ნაციონალურ ხასიათს. თვით ქემალისტური რევოლუცია ეს იყო მემარცხენე მსოფლმხედველობის იდეოლოგია ძლიერი ნაციონალისტური ასპექტებით.

მიუხედავად დებულებათა ურთიერთშორის მჭიდრო კავშირისა, ზოგიერთი მკვლევარი მაინც თვლის, რომ არ შეიძლება ქემალიზმის მწყობრ თეორიულ სისტემად გამოცხადება, ვინაიდან იგი წარმოადგენს ევროპულ-მატერიალისტურ და იდეალისტურ თეორიებიდან აღებულ დებულებათა კომპლექსს. ამავე დროს ბევრი რამ ამ თეორიებიდან აღებულია არამარტო უშუალოდ ევროპიდან, სადაც იგი შეიქმნა, არამედ თურქეთის სინამდვილიდან.

ქმალისტურ რევოლუციასთან დაკავშირებით ადგილი არ ჰქონია ასეთ თანმიმდევრობას: ჯერ რევლუციური თეორია, შემდეგ რევოლუცია. თურქეთში მოხდა პირიქით: ჯერ რევოლუცია და მხოლოდ შემდეგ, უკვე რევოლუციის მსვლელობაში შეიქმნა სისტემა. ეს ქმალიზმის დამახასიათებელი თავისებურებაა. როდესაც მუსტაფა ქმალ ფაშა სათავეში ჩაუდგა ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლას, მას პროგრამა არ ჰქონდა შემუშავებული, ამიტომაც შეიძლება დავასკენათ, რომ სახალხო რესპუბლიკური პარტიის ექსივე დებულების თანდათანობით ჩამოყალიბების პროცესი ამავე დროს არის ქმალიზმის, როგორც იდეოლოგიის ჩამოყალიბების პირობა, რომელიც მოიცავს არა მარტო ანტანტელ ინტერვენტებთან ბრძოლას, არამედ რესპუბლიკური რეფორმების პერიოდსაც. ქმალიზმის სწორად გაგების გარეშე კი შეუძლებელია თანამედროვე თურქეთში მიმდინარე პროცესების ობიექტურად აღქმა და გაანალიზება [2.24].

მუსტაფა ქმალმა, თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოწვევის (1920წ. 23 აპრილი) შემდეგ, მიზნად დაისახა სასულთნოს გაუქმება და რესპუბლიკური წყობილების დამყარება. მას კარგად ესმოდა, რომ ეროვნული კერების დეპუტატები ამ საქმეში მხარს არ დაუჭრედნენ, რადგან დეპუტატების უმრავლესობა სულთნისადმი ლოიალურად იყვნენ განწყობილნი. მეჯლისის შემადგენლობაში არ იყვნენ მუშები, გლეხები, ხელოსნები. არ ჩანდა ის ძალა, რომელიც გახდებოდა დასაყრდენი რევოლუციური გარდაქმნების დროს.

ასეთ ვითარებაში მუსტაფა ქემალმა გადაწყვიტა, შენიღბულად წარმოეჩინა და ეტაპობრივად განეხორციელებინა თავისი მიზნები. “მე მსურდა, წერს მუსტაფა ქემალი, ჩამომეყალიბებინა სრულიად სხვა ხასიათით და უფლებებით აღჭურვილი მეჯლისი, რათა ერთად, თანამიმდევრობით გაგვევლო რევოლუციის ეტაპები”[81.84]. ”რევოლუციის ეტაპებში” მუსტაფა ქემალი გულისხმობდა სასულთნოს გაუქმებასა და რესპუბლიკის გამოცხადებას.

ათათურქი ცდილობდა დეპუტატები დაერწმუნებინა, რომ ეს რეფორმები, რომლებიც წინათ ჩატარდა არ შეიძლება გამხდარიყო ახალი თურქეთის პოლიტიკური მოწყობის საფუძველი, ამისთვის კი საჭირო იყო რადიკალური, რევოლუციური გარდაქმნები.

ამ საკითხთან დაკავშირებით მუსტაფა ქემალი წერდა: “ცნობილია, რომ წინარე რეჟიმების დროს პრაქტიკულად ახორციელებდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ დოქტრინებს, მე კი მივედი იმ დასკვნამდე, რომ არც ერთი დოქტრინა არ შეიძლება გამხდარიყო საფუძველი თურქეთის ახალი პოლიტიკური მოწყობისათვის, მე ვცდილობდი მეჯლისი ამაში დამერწმუნებინა”[5.122].

ახალი წყობის დასამყარებლად საჭირო იყო სახელმწიფოს ძირითადი მმართველობის ფუნქციების განსაზღვრა; საკონსტიტუციო უფლება-მოვალეობების დადგენა და სხვა.

ეროვნულმა კრებამ ყველა ეს საკითხი წარმატებით გადაწყვიტა. მაგრამ, გადაუჭრელი რჩებოდა სულთნის უფლებამოსილების საკითხი. ეროვნული კრების ფეოდალურ-კლერიკალური და რეაქციული დეპუტატები მოითხოვდნენ,

რომ კანონში სულთნის პრეროგატივებთან დაკავშირებით პირდაპირ მითითებული და განსაზღვრული ყოფილიყო მისი უფლებები: ”დიდი ეროვნული კრების ხელისფლება დროებითია და მისი უფლებამოსილება სულთან-ხალიფას განთავისუფლებამდე გაგრძელდება.”

ე.ი. ოპოზიციის აზრით, სულთანი დროებით იმყოფებოდა ინგლისელთა “ტყვეობაში,” რომ მალე აღდგენილი იქნებოდა მისი ხელისფლება და ამის შემდეგ დიდი ეროვნული კრება შეწყვეტდა თავისი მოვალეობის შესრულებას. მუსტაფა ქემალი არ ითვალისწინებდა ოპოზიციის ამ თვალსაზრისს, მაგრამ აშკარად არ გამოდიოდა მათ წინააღმდეგ, რადგანაც ამას შეიძლება ანტიიმპერიალისტური ბლოკის დაშლა გამოეწვია. იგი ამ ეტაპზე არ აპირებდა სასულთნოს გაუქმებას, არამედ ცდილობდა, სულთნის ავტორიტეტის შელახვას, მისი პოზიციების დასუსტებას, რათა მოემზადებინა ნიადაგი შემდგომში მისი დამხობისათვის. ამ საკითხის შესახებ მუსტაფა ქემალი აღნიშნავდა, რომ მეჰმედ VI მოაღალატე იყო სამშობლოსა და ერის წინაშე, “იგი არის იარაღი მტრის ხელში, ამასთანავე არ შეიძლება სულთან-ხალიფა იყოს ის პიროვნება, რომელიც მოაღალატეა და არ შეიძლება ეროვნულმა კრებამ მის წინაშე ფიცი დადოს.” მუსტაფა ქემალის აზრით, ”ასევე არ შეიძლება მიღებული იყოს დადგენილება მეჰმედ VI-ის ტახტიდან ჩამოგდების შესახებ და მისი შეცვლა სხვა სულთნით, რადგან იგი იმყოფებოდა სტამბოლში, არ დაემორჩილებოდა ეროვნული კრების გადაწყვეტილებას, რასაც შეიძლება გამოეწვია მათ შორის დაპირისპირება და დინასტიური ომი.” ქემალი მოითხოვდა,

რომ ახალ კანონში არ ყოფილიყო შეტანილი მუხლი სულთან-ხალიფას შესახებ. “ამ საკითხებს გვერდი უნდა ავუაროთ, ამბობდა იგი, რათა შემდეგ გვექონდეს მოქმედების თავისუფლება”[54.124].

დისკუსია მეჯლიში ცხრა თვეს გაგრძელდა. ოპოზიცია წავიდა დათმობაზე მას შემდეგ, როცა 1921 წლის 10 იანვარს ქემალისტებმა სოფელ ინონუსთან ბერძნებზე მოიპოვეს პირველი გამარჯვება.

1921 წლის 20 იანვარს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი “ძირითადი ორგანიზაციების შესახებ.” ფაქტობრივად, ეს იყო თურქეთის დროებითი კონსტიტუცია. მან დაადასტურა, რომ თურქეთის დიდი ეროვნული კრება არის თურქეთის ერთადერთი კანონიერი ორგანო, რომელსაც ეკუთვნის როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლება. კანონი განსაზღვრავდა ეროვნული კრების თავმჯდომარის, დეპუტატების, მთავრობისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის ფუნქციებს. ხოლო სულთან-ხალიფას შესახებ არაფერი იყო ნათქვამი. ფორმალურად ”კანონი ძირითადი ორგანიზაციების შესახებ” კი არ აუქმებდა 1876 წლის კონსტიტუციას, არამედ ავსებდა ძველ კონსტიტუციას. სულთანი ფორმალურად ინარჩუნებდა თავის ხელისუფლებას.

მუსტაფა ქემალმა გადაწყვიტა გაეუქმებინა სულთნის ხელისუფლება, მაგრამ მას კარგად ახსოვდა კონსტიტუციის მიღების დროს, ოპოზიცია როგორ თავდადებით იცავდა სულთნს და მხოლოდ ცხრა თვის კამათის შემდეგ მიღებული იქნა კომპრომისული წინადადება.

ანტანტის სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს კიდევ უფრო მეტად გაემწვავებინათ ურთიერთობა ქემალისტებსა და სულთნის ხელისუფლებას შორის და ამ მიზნით გამოეყენებინა თურქეთში არსებული ორხელისფლებიანობა. ანტანტამ ლოზანის კონფერენციაზე მონაწილეობის მიზნით მიწვევა გაუგზავნა როგორც ანკარის, ისე სტამბულის მთავრობებს (კონფერენცია ლოზანაში უნდა დაწყებულიყო 20 ნოემბერს).

ბერძნებზე მოპოვებული დიდი გამარჯვების შემდეგ, მუსტაფა ქემალის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და განმტკიცდა. თუ სულთნის დელეგაცია მონაწილეობას მიიღებდა სამშვიდობო საზავო კონფერენციაში, მისი შერყეული ავტორიტეტი ამაღლდებოდა და მისი ტახტიდან გადაყენების საკითხი, შესაძლებელია დღის წესრიგიდან მოხსნილიყო. საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება. მუსტაფა ქემალს კარგად ესმოდა, რომ ერთდროულად სულთნის საერო და სასულიერო ხელი სფლების გაუქმება დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს სულთანმა დაკარგა რეალური ძალაუფლება, სახელი გაიტეხა ანტანტის სახელმწიფოებთან თანამშრომლობით და ანტიხალხური პოლიტიკის გატარებით, იგი ფეოდალურ-კლერიკალურ წრეებში ჯერ კიდევ დიდი გავლენით სარგებლობდა. მუსტაფა ქემალმა გადაწყვიტა სულთნის ხელისუფლება ორად გაეყო და ეტაპობრივად გაეუქმებინა, რათა არ გამოეწვია სულთნის მომხრეების გამოსვლები. ეს იყო მუსტაფა ქემალის სწორი და ბრძნული გადაწყვეტილება.

აღასანიშნავია, რომ სულთან-ხალიფას თანამდებო ბაზე დატოვებას მხარს უჭერდნენ თვით მუსტაფა ქემალის უახლოესი თანამებრძოლები. 1922 წლის 1 ნოემბრამდე ცოტა ხნით ადრე რაუფ ბეის თხოვნით მოხდა ქემალ ფაშასთან შეხვედრა, რომელსაც აგრეთვე ესწრებოდნენ რეფეთ ფაშა და ფუად ფაშა. რაუფ ბეიმ შემფოთება გამოთქვა: გავრცელდა ხმა, რომ აპირებდნენ ტახტისა და შესაძლებელია თვით სახალიფოს გაუქმებას. ამის გამო რაუფ ბეიმ განაცხადა: “მე სულითა და გულით სულთნისა და ხალიფას ერთგული ვარ, რომ ჩემი ვალია ბოლომდე დავრჩე ფადიშაჰის ერთგული”[71.85]. რაუფ ბეის განცხადების შემდეგ ქემალმა ჰკითხა რეფეთ ფაშას, თუ რას იტყვის იგი ამის შესახებ. რეფეთ ფაშამ უპასუხა, რომ იგი სავსებით იზიარებს რაუფ ბეის აზრს. სინამდვილეში მათ არ წარმოუდგენიათ მმართველობის სხვა ფორმა გარდა სასულთნოსა და სახალიფოსი. მუსტაფა ქემალმა დაამშვიდა ორივენი და განაცხადა, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას და სულთანს არაფერი ემუქრებოდა.

ამ შეხვედრის შემდეგ, როდესაც ეროვნულ კრებაზე იხილებოდა სულთან-ხალიფას საკითხი, ქემალმა გამოიძახა რაუფ ბეი თავის კაბინეტში და თხოვნით მიმართა: “ჩვენს სახალიფოს გამოვაცალკევებთ სასულთნოსაგან და გავაუქმებთ ამ უკანასკნელის ხელისუფლებას,” თქვენ გამოსვალთ ეროვნულ კრებაზე და მოიწონებთ ამ ღონისძიებას. ასეთივე წინადადებით მიმართა ქემალმა ყარაბეჰირ ფაშას. მათ ეს დავალება უსიტყვოდ შეასრულეს. კიდევ უფრო მეტი, რაუფ ბეიმ სხდომაზე წინადადება

შეიტანა სასულთნოს გაუმების დღე გამოცხადებულიყო დასვენების დღედ[54.123].

1922 წლის 30 ოქტომბერს თურქეთის დიდი ეროვნული კრების სხდომაზე შეტანილი იქნა წინადადება სულთნის მიერ ქვეყნის ინტერესების დაღატის გამო მისთვის საერო ხელისუფლების ჩამორთმევისა და მხოლოდ სასულიერო პრეროგატივის შენარჩუნების შესახებ. ცხარე დისკუსიის შემდეგ 1 ნოემბერს, დილის სხდომაზე ეს წინადადება ხმების უმრავლესობით არ იქნა მიღებული. კლერიკალები ამტკიცებდნენ, რომ საერო ხელისუფლების გამოყოფა სასულთნოსაგან წარმოადგენდა რელიგიურ საწყისებზე თავდასხმას, რომ ფადიშაჰის პრეროგატივები წმინდაა და განასახიერებს ამ ქვეყნად ღმერთის ხელისუფლებას.

მუსტაფა ქემალი იძულებული შეიქმნა გაეკეთებინა ვრცელი მოხსენება ისლამის, სახალიფოსა და ოსმალეთის ისტორიის შესახებ. რათა უკუეგდო კლერიკალი დეპუტატების არგუმენტები. მაგრამ ისინი მაინც განაგრძობდნენ წინააღმდეგობის გაწევას და ასაბუთებდნენ სულთნის ხელისუფლებისაგან გამოყოფის შეუძლებლობას. ქემალმა აშკარად ვერ გაბედა გამოსულიყო სასულიერო პირების წინააღმდეგ. მაგრამ მოიყვანა დამაჯერებელი არგუმენტები მათი უსაფუძვლო დებატების წინააღმდეგ. “ბატონებო, განაცხადა მუსტაფა ქემალმა, სუვერენიტეტი და ძალაუფლება არავის გადაცემია აკადემიური დისკუსიის შედეგად. სუვერენიტეტი მოიპოვება ძალის საშუალებით, ძალის ზემოქმედების შედეგად. ძალის გამოყენების გზით ოსმალ სულთნებმა მოიპოვეს ძალაუფლება თურქებზე, რომლებზედაც ისინი ბატონობდნენ ექვსი საუკუნის განმავ-

ლობაში, ახლა ეს ხალხი აღსდგა მათ წინააღმდეგ და უკუაგდებს ის და ხელში აიღებს სუვერენიტეტი, რომელიც მას ეკუთვნის კანონის საფუძველზე, ეს მომხდარი ფაქტია. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ვადიაროთ ფაქტი” [59.142].

მუსტაფა ქემალმა რკინისებური ლოგიკისა და ზემოქმედების ძალით დაარწმუნა მოწინააღმდეგენი მხარი დაეჭირათ მისი წინადადებისათვის. ამის შემდეგ საკითხი მარტივად გადაწყდა: საღამოს სხდომაზე ერთხმად მიიღეს კანონი სულთნის საერო ხელისუფლების გაუქმების შესახებ.

ამგვარად, 1922 წლის 1 ნოემბერს ეროვნულმა კრებამ დაადგინა გაუქმებულიყო სულთნის საერო ხელისუფლება.

სულთნის ხელისუფლების გაუქმებასთან ერთად, არსებობა შეწყვიტა სულთნის მარიონეტულმა მთავრობამ. ხელისუფლება სტამბოლში ეროვნული კრების ხელში გადავიდა. ოსმალეთის იმპერიის უკანასკნელი სულთანი მეჰმედ VI (ვაჰიდედინი) იმის გამო, რომ მის წინააღმდეგ თურქეთის ეროვნულმა კრებამ აღძრა საქმე ღალატის შესახებ, 1922 წლის 17 ნოემბერს ინგლისელების დახმარებით გაიქცა თურქეთიდან. მეორე დღეს, 18 ნოემბერს, უფლისწული აბდულ-მეჯიდი არჩეულ იქნა ”ყველა მუსლიმთა ხალიფად” [35.95].

ერონგულმა კრებამ გააუქმა სულთნის საერო ხელისუფლება და დაუტოვა მას სასულიერო ძალაუფლება (ხალიფობა). საკითხის ასე ნახევრად გადაწყვეტა იყო დათმობა ფეოდალურ-კლერიკალური წრეების მიმართ, მაგრამ მუსტაფა ქემალი არ აპირებდა ნახევარ გზაზე

გაჩერებას. ახლა მისი მიზანი იყო რესპუბლიკის გამოცხადება.

გადაუწყვეტელი რჩებოდა მთავარი საკითხი: როგორ უნდა ყოფილიყო ახალი თურქეთის სახელმწიფო წყობილება. მეჯლისის შიგნით გამწვავდა ბრძოლა ქვეყნის შემდგომი განვითარების გზაზე და სახელმწიფოს მმართველობის ფორმაზე. სასულთნოს გაუქმების შემდეგ თურქეთის სახელმწიფოს მმართველობის ფორმა იურიდიულად არ იყო დადგენილი. ქემალისტებს ჰქონდა წინააღმდეგობრივი შეხედულება ამ საკითხზე. უმრავლესობა თვლიდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა გაუქმებულიყო ნახევრად თეოკრატიული რეჟიმი. ეროვნულ კრებაში შეიქმნა რამდენიმე ჯგუფი თურქეთის მომავალ პოლიტიკურ რეჟიმთან დაკავშირებით.

პარლამენტის ერთ-ერთმა მთავრამა ჯგუფმა წამოაყენა წინადადება, თურქეთი გამოეცხადებინათ კონსტიტუციურ მონარქიად. ქემალისტების ერთ-ერთი ლიდერი რაუფ ბეი უპირატესობას ანიჭებდა სასულთნოს. ამის გამო ქემალს და მათ შორის შეიქმნა სერიოზული უთანხმოება. რაუფ ბეიმ კონტაქტი დაამყარა ქემალის მოწინააღმდეგე ჯგუფთან. იგი საყვედურობდა ქემალს, რომ სათანადოდ არ აფასებდა განმათავისუფლებელ ბრძოლაში ქიაზი ყარაბეჩირს, ალი ფუად ფაშასა და რაუფ ბეის ღვაწლს. რაუფ ბეი აშკარად გამოვიდა ქემალის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ "ქემალმა ხელში ჩაიგდო მთელი ხელისუფლება." სხვა გენერლებმაც ამ საკითხში მხარი დაუჭირეს მას. ქემალისტებს შორის წარმოიშვა პირველი სერიოზული

განხეთქილება. პარლამენტში შეიქმნა ოპოზიციური გენერლების ჯგუფი რაუფ ბეის მეთაურობით.

ოპოზიციამ გადაწყვიტა ესარგებლა ლოზანის კონფერენციაზე თურქეთის დელეგაციის რთული მდგომარეობით და მეჯლისში გააძლიერა გამოსვლები ქემალ ფაშას წინააღმდეგ. ოპოზიციონერები მოითხოვდნენ, რომ გადაეცათ ხელისფლება სულთნისათვის და წასულიყვნენ დათმობაზე ანტანტის სახელმწიფოების მიმართ.

6 მარტს ოპოზიციის დეპუტატებმა მოითხოვეს შეეტანათ ცვლილება საარჩევნო კანონში. მათი კანონპროექტის მიხედვით, მეჯლისის დეპუტატი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ის პირი, რომელიც დაბადებული იყო ანატოლიაში და აღმოსავლეთ თრაკიაში, ან რომელიც მუდმივად ცხოვრობდა საარჩევნო ოლქში არანაკლებ 5 წლისა. ეს კანონპროექტი უშუალოდ მიმართული იყო ქემალის წინააღმდეგ, რადგან იგი დაიბადა სალონიკში, რომელიც იმ დროს აღარ შედიოდა თურქეთის შემადგენლობაში და არ უცხოვრია ერთსა და იმავე ადგილას 5 წლის განმავლობაში. ოპოზიციის ეს მოთხოვნა უარყოფილ იქნა. ასეთ ვითარებაში ქემალმა გადაწყვიტა ოპოზიციის საბოლოო წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით დაეარსებინა პოლიტიკური პარტია და ვადამდე ჩაეტარებინა პარლამენტში არჩევნები.

1923 წლის 1 აპრილს გამოქვეყნდა დადგენილება პარლამენტში ვადამდე არჩევნების ჩატარების შესახებ. 8 აპრილს, არჩევნების წინ ქემალმა გამოაქვეყნა ცხრა პრინციპისგან შემდგარი სახალხო პარტიის თეზისები, რომელიც ამავე დროს იყო წინასაარჩევნო პროგრამა. რის

მიხედვითაც თურქეთის სუვერენიტეტი ეკუთვნოდა ერს, რომლის ნების გამომხატველი ერთადერთი ორგანო - თურქეთის დიდი ეროვნული კრება იყო. ყველა კანონი მიღებული უნდა ყოფილიყო ამ პრინციპის გათვალისწინებით [20.65].

ქემალისტებმა დიდი საარჩევნო კამპანია ჩაატარეს. აღსანიშნავია, რომ მუსტაფა ქემალმა წინასაარჩევნო სიები პირადად შეადგინა. 1923 წლის 23 ივლისს ჩატარდა მეორე მოწვევის პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები. ქემალისტებმა არჩევნებში მოიპოვეს შთამბეჭდავი გამარჯვება. 286 დეპუტატიდან ათათურქის მომხრეებმა 263 ადგილი დაიკავეს. ამავე დროს პარლამენტში 20%-მდე გაიზარდა სამხედროთა რაოდენობა. "ოპოზიციის მეორე ჯგუფმა" პარლამენტში დეპუტატის ვერც ერთი მანდატი ვერ მიიღო, რის შემდეგაც ქემალმა კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიციები პარლამენტში და ხალხის მასების მხარდაჭერა მოიპოვა[34.56].

23 აგვისტოს გაიხსნა მეორე მოწვევის თურქეთის დიდ ეროვნული კრება. რომელზეც მუსტაფა ქემალი აირჩიეს თავმჯდომარედ.

1923 წლის 9 სექტემბერს მოწვეული იქნა "სახალხო პარტიის" დამფუძნებელი კრება და 11 სექტემბერს ოფიციალურად გამოცხადდა "სახალხო პარტიის" დაარსება(1924 წლის ნოემბრიდან "სახალხო პარტიას" ეწოდება "სახალხო-რესპუბლიკური პარტია"). სახალხო-რესპუბლიკური პარტია დაარსდა "უფლებათა დაცვის პირველი ჯგუფის" ბაზაზე[23.42].

პარტიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მუსტაფა ქემალი, რომელსაც ეს თანამდებობა გარდაცვალებამდე ეკავა (1938 წ. 10 ნოემბერი).

6 ოქტომბერს თურქეთის ჯარები შევიდნენ სტამბოლში, რითაც დამთავრდა ქვეყნის განთავისუფლება ოკუპანტებისაგან. 13 ოქტომბერს ანკარა გამოცხადდა თურქეთის დედაქალაქად, რომელიც 1919 წლიდან იყო თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრი.

მთელი ქვეყანა ზეიმობდა ინტერვენტებზე გამარჯვებას. სწორედ ასეთ ვითარებაში ქემალმა გადაწყვიტა განეხორციელებინა თავისი მიზანი - გამოეცხადებინა რესპუბლიკა.

1923 წლის 29 ოქტომბერს მუსტაფა ქემალმა "სახალხო პარტიასა" და მეჯლისს წარუდგინა ისმეთ ფაშასთან ერთად შემუშავებული პროექტი, რომელიც შედგებოდა სამი პუნქტისაგან:

1. თურქეთის სახელმწიფოს მმართველობის ფორმაა - რესპუბლიკა;
2. თურქეთის სახელმწიფოს მეთაურობს თურქეთის დიდი ეროვნული კრება;
3. თურქეთის სახელმწიფოს შინაგანაწესს მართავს მინისტრთა საბჭო;

1923 წლის 29 ოქტომბერს სადამოს 8 საათსა და 30 წუთზე თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო დადგენილება, თურქეთი გამოცხადებულიყო რესპუბლიკად. 15 წუთის შემდეგ მუსტაფა ქემალი, ასევე ერთხმად აირჩიეს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად. ეს ამბავი იმავე ღამეს აცნობეს ქვეყანას 101 საარტი ლერიოზალპით.

30 ოქტომბერს მთავრობის პირველი თავმჯდომარე გახდა ისმეთ ფაშა[31.79].

რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ გასაუქმებელი რჩებოდა ოსმალეთის სახელმწიფო წყობის უკანასკნელი ბურჯი - სახალიფო. ხალიფას გარშემო იკრიბებოდნენ ქვეყნის რეაქციული ძალები, რომელთაც სურდათ დაემხოთ რესპუბლიკური რეჟიმი და აღედგინათ სასულთნო.

უკანასკნელმა ხალიფამ აბდულ მეჯიდამა დაიწყო კავშირის დამყარება ქემალისტების რეჟიმით უკმაყოფილო ელემენტებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. ინდოეთში, ეგვიპტეში და სხვა ქვეყნებში ქვეყნდებოდა მოწოდებები “ხალიფას” დასაცავად.

ეროვნულ კრებაში მემარჯვენე ლიდერები ასაბუთებდნენ, რომ თუ თურქეში გაუქმდებოდა სახალიფო, იგი დაკარგავდა ისლამურ ქვეყნებს შორის წამყვანი სახელმწიფოს მნიშვნელობას და მკვეთრად დაეცემოდა თურქეთის საერთაშორისო ავტორიტეტი. ზოგიერთ დეპუტატს (რაუფ ბეი, რეშეთ ბეი) ურთიერთობა ჰქონდა ხალიფასთან, რამაც შეშფოთება გამოიწვია ქემალისტებს შორის.

1924 წლის 15 თებერვალს სამხედრო წვრთნის ჩასატარებლად იზმირში ჩავიდნენ პრემიერ-მინისტრი ისმეთ ფაშა, ეროვნული თავდაცვის მინისტრი ქიაზიმ ფაშა და გენერალური შტაბის უფროსი ფევი ფაშა. არმიის მეთაურებთან ერთად ჩატარდა შეკრება, რომელზედაც გადაწყდა სახალიფოს გაუქმება. სამხედრო წვრთნის დამთავრების შემდეგ, 3 მარტს ანკარაში გაიხსნა თურქეთის დიდი ეროვნული კრების სესია, რომელმაც მიიღო დადგენილება სახალიფოს გაუქმების შესახებ. უკანასკნელმა

ხალიფამ აბდულ-მეჯიდმა, თურქეთი დატოვა. ამასთან ერთად ქვეყნიდან გააძევეს ოსმალეთის დინასტიის ყველა წევრი და მოახდინეს მათი ქონების კონფისკაცია.

საბოლოოდ გაუქმდა სულთნის როგორც საერო, ისე სასულიერო ხელისუფლება და თურქეთში რესპუბლიკური წყობილება დამყარდა, რითაც დაიწყო ახალი ერა ქვეყნის ისტორიაში.

ამრიგად, ანატოლიაში დაწყებული ანტიიმპერიალი სტური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რევოლუციაში გადაიზარდა, რის შედეგადაც ქემალისტებმა მოკლე დროში განახორციელეს სამი მნიშვნელოვანი აქტი: გააუქმეს სასულთნო და საახლიფო; გამოაცხადეს რესპუბლიკა და შეუდგნენ რადიკალური რეფორმების გატარებას, რომელიც თავისი მნიშვნელობით კულტურული რევოლუციის ტოლფასი იყო.

ქემალისტური რევოლუციის სპეციფიკური თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ რევოლუცია მოხდა არა ქვემოდან, ხალხის აჯანყების შედეგად, არამედ ზემოდან პარლამენტის გზით, მუსტაფა ქემალის ხელმძღვანელობით.

ქემალისტური რევოლუცია თავისებურებებით ხასიათდება. ეს იყო, მშვიდობიანი გზით, თურქეთის რევოლუციური გარდაქმნა, ხავერდოვანი რევოლუცია. რომლის ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი იყო მუსტაფა ქემალი. იგი კონფლიქტის მოსაგვარებლად ჯერ მშვიდობიან გზას ირჩევდა, შემდეგ ზეწოლას მიმართავდა და იარაღს უკიდურეს შემთხვევაში იყენებდა.

მართალია, რევოლუციური გარდაქმნების დროს ქემალის მოლაპარაკებასთან ერთად ზოგჯერ ზემოქმედებას და მუქარასაც მიმართავდა, მაგარამ ეს იყო უკიდურესი ზომა. თურქეთის რევოლუციაში უდიდესი წვლილი მუსტაფა ქემალს მიუძღვის და ამიტომაც მას ისტორიაში ქემალისტურ რევოლუციას უწოდებენ.

დიდია ქემალისტური რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა აღმოსავლეთის ხალხებისათვის. იგი საუკეთესო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს აღმოსავლეთის მუსლიმური ქვეყნებისათვის, თუ როგორ შეიძლება მშვიდობიანი გზით რევოლუციის განხორციელება.

### თავი III .გუსტავა ქავალ ათათურქის რეფორმები

თურქეთში რესპუბლიკური მმართველობის გამოცხადების შემდეგ, ქემალისტები შეუდგნენ რადიკალური რეფორმების გატარებას; პოლიტიკური წყობილების განმტკიცებას; ეკონომიკის განვითარებას; ხალხის მასების კულტურული და ყოფა-ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. მაგრამ, რეფორმების გატარებას ყველა არ უჭერდა მხარს. მეჯლისის შიგნით გამწვავდა ბრძოლა ქემალისტებსა და რეფორმების მოწინააღმდეგეებს შორის. რეაქციული ძალები ცდილობდნენ ძველი წყობილების შენარჩუნებას.

ხალიფატის გაუქმების შემდეგ, პოლიტიკური წყობილების განმტკიცების მიზნით ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო პარლამენტის მიერ 1924 წლის 20 აპრილის თურქეთის რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის მიღება. რომლითაც მოხდა ფეოდალური წყობილების ნაშთების ლიკვიდაცია და ბურჟუაზიული სისტემის დამყარება [51.83].

რეფორმების გატარებას ხელმძღვანელობდა 1924 წლის 8 ნოემბერს შედგენილი მთავრობის ახალი კაბინეტი, პრემიერ-მინისტრ ისმეთ ფაშას მეთაურობით.

1923 წლიდან თურქეთში "სახალხო-რესპუბლიკური პარტიის" ერთპიროვნული მმართველობა დამყარდა, რომელიც გაგრძელდა 1946 წლამდე, მრავალპარტიული სისტემის შემოღებამდე.

კაპიტალისტური განვითარების გზაზე თურქეთისათვის სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა ქვეყნის

საუკუნოვანი ჩამორჩენილობა მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების სფეროში. ეროვნული ბურჟუაზია დაინტერესებული იყო ევროპული კულტურის დანერგვით, რაც ხელს შეუწყობდა ხალხის განვითარების დონის ამაღლებას და ქვეყნის კაპიტალისტური გზით წინსვლას [34.91].

თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადების (1923წ. 29 ოქტომბერი), სახალიფოს გაუქმების (1924წ. 3 მარტი) და შიდა ოპოზიციური ძალების დამარცხების შემდეგ, ქემალისტებს მიეცათ საშუალება გაეტარებინათ მთელი რიგი ევროპული ყაიდის რეფორმები ახალი ტიპის სახელმწიფოს მშენებლობისათვის.

ქემალისტებმა დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთში შეძლეს საზოგადოების იმ ცივილიზირებულ საზღვრებამდე მიყვანა, საიდანაც ქვეყნის დემოკრატიულ მოდერნიზაციას გაეხსნებოდა გზა. ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით სეკულარიზაცია თურქეთში არ ყოფილა საზოგადოების ევოლუციური ცვლილებების შედეგად მომხდარი ფაქტი. ევროპაში საერო სახელმწიფოები წარმოიქმნა ბურჟუაზიის გაჩენასთან ერთად ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

XIX ს. თურქეთში "თანზიმათისა" და XX ს. 10-იან წლებში "ახალგაზრდა თურქების" მთავრობის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ვერ უზრუნველყვეს თურქეთის ფეოდალური შუასაუკუნეობრივი ჩამორჩენილობის დაძლევა და ევროპული ტიპის სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ამიტომ, "სახალხო-რესპუბლიკური პარტიის" ხელმძღვანელობით რეფორმების გატარებისას (ისტორიული როლი, რომელიც ევროპაში ბურჟუაზიამ ითამაშა) თურქეთში ბიუ-

როკრატიამ შეასრულა, კერძოდ კი სამხედრო გენერალი-ტეიტმა[22.65].

1924 წლის 3 მარტს პარლამენტმა მიიღო კანონი შარიათისა და ვაკუუმების სამინისტროს გაუქმების შესახებ და მის ნაცვლად დაარსდა კულტურის სამინისტრო. მის ხელთ გადავიდა მეჩეთებისა და თექეების ხელმძღვანელობა. მას ჰქონდა უფლება დაენიშნა და გადაეყენებინა იმამები, შეიხები და სხვა სასულიერო პირები. დაიწყო სამზადისი ევროპული ტიპის ახალი სამოქალაქო კოდექსის შემუშავებისათვის. ოსმალეთის დროს, სახელმწიფო სამართალი შარიათის პრინციპებს ემყარებოდა. ახლად შექმნილ თურქეთის რესპუბლიკას მის მიერ დაწესებული ევროპიზაციის საქმეში უპირველეს ყოვლისა უნდა მოეხდინა ახალი სამართლებრივი სისტემის შექმნა. გაითვალისწინა რა ეს მდგომარეობა, ათათურქმა 1924 წლის 1 მარტის პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას განაცხადა ძველი ოსმალური სამართლებრივი სისტემის შეცვლის აუცილებლობის შესახებ, რაც შემდგომ 1925 წელს გაიმეორა ანკარაში სამართლის ფაკულტეტის გახსნის ცერემონიაზე.

1922 წელს მუსტაფა ქემალი წერდა: ”ეროვნული მოძრაობის შემდეგ ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას მეცნიერების, განათლებისა და ეკონომიკის სფეროში და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ სარბიელზეც ჩვენ მივადწევთ გამარჯვებას”[9.223].

ახალი თურქული სამოქალაქო კოდექსი შემუშავებული იქნა სპეციალური კომისიის მიერ შევიცარიული მოდელის მიხედვით. კომისიის შემადგენლობაში ჩართული იყვნენ

თურქეთის ყველაზე კომპეტენტური იურისტები. კოდექსი შეიცავდა უმეტესად, საერო ხასიათის სამართლებრივ ნორმებს, როგორცაა: ქონებრივი და სახელმეკრულებო ურთიერთობები; ქალისა და მამაკაცის თანასწორობის; მემკვიდრეობის, მზრუნველობისა და სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობები. ახალი კოდექსის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო მესაკუთრის სამართლებრივი უფლებებისა და კერძო საკუთრების დაცვა.

1926 წლის 26 მაისს დამატებით გამოიცა კანონი №864 "სამოქალაქო კანონის ამოქმედებისა და ცხოვრებაში დანერგვის შესახებ." რომლის მიხედვით მუსლიმებისა და ქრისტიანების უფლებები სამართლებრივი თვალსაზრისით ერთ საფუძველს ემყარებოდა[54.97].

1926 წლის 1 მაისს მიიღეს იტალიურ მოდელზე შემუშავებული სისხლის სამართლის ახალი კოდექსი, რომლის მიხედვითაც ერთი და იმავე დანაშაულისათვის მუსლიმი და ქრისტიანი მოსახლეობა კანონის წინაშე ერთნაირად აგებდა პასუხს. ძველი ოსმალური სამართლის სისტემის მიხედვით, სახელმწიფოში მოსახლეობა რელიგიური კუთვნილების შესაბამისად რელიგიური თემის კანონის მიხედვით ისჯებოდა. ამიტომ ახალი კოდექსი წინგადადგმული ნაბიჯი იყო კანონის წინაშე ქვეყნის მოსახლეობის უფლება-მოვალეობებში გათანაბრების თვალსაზრისით.

1926 წლის 3 მარტიდან მიღებული არბიტრაჟის კანონის მიხედვით სასამართლომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, რითაც მოსამართლეზე ზემდგომი ორგანოების ზეწოლა აიკრძალა.

1926 წლის მაისში გერმანიისა და იტალიის კანონებზე დაყრდნობით მომზადებული იქნა ახალი კანონი “ვაჭრობის შესახებ,” რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა: სახმელეთო და საზღვაო ვაჭრობის კანონი. რომელიც 1926 წლის 29 მაისს იქნა მიღებული [34.53].

1928 წლის 8 მაისს მიღებული იქნა კანონი სესხის შესახებ. რომელმაც გარკვეულწილად მოაწესრიგა ვაჭრობაში ვალისა და სესხის საკითხი და საფუძველი შეუქმნა ორ მხარეს შორის ვაჭრობის ეთიკური ნორმების დაცვას [34.57].

შვეიცარიული კანონის საფუძველზე მომზადებული იქნა კანონი ადმინისტრაციული სასამართლოსა და გაკორტრების შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1929 წლის 24 აპრილს. ცოტა მოგვიანებით, 1932 წელს, ამ კანონში შეტანილი იქნა ცვლილებები არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად[58.72].

საწყის ეტაპზე, საზოგადოების დეისლამიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ევროპული ტანსაცმლის შემოღება.

1925 წლის 25 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი ფესების აკრძალვის და აუცილებლად ევროპული ქუდეების ტარების შესახებ. აიკრძალა ოსმალებისთვის დამახასიათებელი ქუდეების, ფაფახებისა და ფესების ტარება და მათ ნაცვლად შემოიღეს ევროპული ქუდეები. სახელმწიფო მოხელეები ვალდებული იყვნენ საზოგადოებრივ ადგილებში ყოფილიყვნენ ევროპულად ჩაცმული, ერთმანეთს მისაღმებოდნენ ევროპული წესით და სხვა.

დადგენილება აგრეთვე უკრძალავდა სასულიერო ტანსაცმლის ტარებას იმ პირებს, რომლებიც აღარ იყვნენ კულტის მსახურნი.

მუსტაფა ქემალი ქვეყნის რაიონებში მოგზაურობის დროს ევროპულად იყო ჩაცმული და ამით სხვებს აძლევდა მაგალითს.

1925 წლის 30 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც გაუქმდა რელიგიური დევრიშული ორდენები. ადრე ისინი დიდ როლს თამაშობდნენ თურქეთის საშინაო ცხოვრებაში და მათი რიცხვი მნიშვნელოვანი იყო. ყოველი სექტის სათავეში შეიხი იდგა. მას ბრმად ემორჩილებოდა დერვიშთა მასა. სარგებლობდნენ რა ცალკეული პირების ფანატიზმით შეიხებმა მოიპოვეს დიდი გავლენა. განსაკუთრებით შორეულ რაიონებში, სადაც ცენტრალური ხელისუფლების გავლენა სუსტი იყო. ამასთან ერთად ლიკვიდირებული იქნა დევრიშების თავშეყრისა და თავყვანისცემის ადგილები[35.108].

სამართლებივ სფეროში რეფორმების გატარებამდე 1925 წლის 26 მარტს მიღებულ იქნა კანონი თურქეთში ევროპული კალენდრისა და დროის სისტემის შემოღების შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1926 წლის 1 იანვრიდან. გაუქმდა ადრე არსებული ჰიჯრისა და ბერძნული კალენდარი, რამაც ხელი შეუწყო ევროპულ საზოგადოებასთან თურქეთის შემდგომ ინტეგრაციას. ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი იყო 1929 წლის 26 მარტს გამოცემული მეტროლოგიური კანონი წონის ერთეულის მოწესრიგებისათვის. მთელი თურქეთის მაშტაბით შემოღებული იქნა ერთიანი ზომისა და წონის ერთეული, რამაც

კიდევ უფრო გაადვილა ვაჭრობის საქმე როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

თურქეთის რესპუბლიკის სეკულარიზაციის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასვენების დღეებისა და ეროვნული დღესასწაულების დადგენას. ამ მიზნით 1929 წლის 27 მაისს თურქეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც დადგენილი იქნა ეროვნული დღესასწაულის დღეები. კვირის ბოლო დღედ თურქეთში მუსლიმებისათვის პარასკევი ითვლებოდა, ებრაელებისათვის შაბათი, ხოლო ქრისტიანებისათვის კი კვირა. რადგან ეს დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობაში ერთგვარ დაბრკოლებას ქმნიდა. ახალი კანონით დასვენების დღედ კვირა იქნა გამოცხადებული[22.73].

1928 წელს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ კონსტიტუციიდან ამოიღო ფრაზა "თურქეთის სახელმწიფო რელიგია ისლამია." ამგვრად რელიგია საბოლოოდ გამოეყო სახელმწიფოს. ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან თურქეთი დღემდე ერთად ერთი მუსლიმური სახელმწიფოა, სადაც რელიგია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან[36.9].

რელიგიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან არ ნიშნავდა იმას, რომ ქემალისტებმა დაიწყეს ბრძოლა მრწამსის წინააღმდეგ. თურქეთის მთავრობა ცდილობდა რელიგიის გამოყენებას ახალი სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

1929 წლიდან თურქეთში ძალაში შევიდა კანონი "თურქეთის მოქალაქეობის შესახებ," რომელმაც საბოლოოდ ბოლო მოუღო კაპიტულაციების ნორმებს თურქეთის კანონმდებლობაში.

ქმალისტებმა განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაუთმეს განათლების გარდაქმნას. 1924 წლის მარტში თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი ერთიანი სწავლების შემოღების შესახებ.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანბანის რეფორმას. არსებული ანბანი დიდად აფერხებდა მოსახლეობაში წერა-კითხვისა და სწავლა-განათლების გავრცელებას. თურქეთში რესპუბლიკის გამოცხადებამდე წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი საკმაოდ დაბალი იყო. სასულიერო პირები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ლათინური ანბანის შემოღებას. 1928 წლის 1 ნოემბერს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი ანბანის რეფორმის შესახებ, რომლის საფუძველზე არაბული ანბანი შეიცვალა ლათინურით. ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი დონისძიება, მოსახლეობის სწავლა-განათლებისა და საერთოდ, ქვეყნის კულტურისა და მეცნიერების განვითარების საქმეში.

ახალი ანბანის სწრაფად ათვისების მიზნით, 1928 წლის დეკემბერში გაიხსნა პირველი ეროვნული სკოლები. 1929 წლის დამდეგს თურქეთში უკვე ფუნქციონირებდა ათასზე მეტი ასეთი სკოლა. რომლებშიც 1928-1929 წლებში წერა-კითხვა შეისწავლა 500 ათასზე მეტმა კაცმა. ამან ხელი შეუწყო წერა-კითხვის მცოდნეთა გაზრდას და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას.

განათლების შემდგომი სრულყოფისათვის თურქეთის მთავრობამ მოიწვია საზღვარგარეთიდან სპეციალისტები, რომელთა დახმარებითაც შემუშავებულ იქნა ახალი სასწავლო პროგრამა. ერთდროულად მიღებულ იქნა ზომები

პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად. 1926 წელს ანკარასა და იზმირში გაიხსნა პედაგოგიური ინსტიტუტები, გაიზარდა პედაგოგ-მასწავლებელთა ხელფასები, რამაც დადებითი გავლენა მოაღინა პროფესიული დონის ამაღლებასა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე [83.74].

ოთხი წლის განმავლობაში (1926-1929) გაიხსნა ასობით ახალი სკოლა, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა 382 ათასიდან 517 ათასამდე გაიზარდა.

ისევე როგორც აზიის სხვადასხვა ქვეყნებში, თურქეთშიც ქალი ყოველგვარ უფლებებს მოკლებული იყო. თურქეთში ქალთა ემანსიპაციას სათავე მუსტაფა ქემალმა დაუდო.

1922 წელს ბერძენებისაგან იზმირის გათავისუფლების შემდეგ, მუსტაფა ქემალმა ცოლად შეირთო მდიდარი ვაჭრის ქალიშვილი ლატიფე. იგი საკმაოდ განათლებული იყო. დამთავრებული ქონდა პარიზის უნივერსიტეტი, იცოდა რამდენიმე ევროპული ენა, კარგად ერკვეოდა მუსიკაში, უკრავდა კლასიკოსების ნაწარმოებებს და სხვა.

ქორწილი ქემალმა ძველი ადათ-წესებით არ გადაიხადა. საქორწინო ცერემონიალი ჩატარდა კაცებისა და ქალების მონაწილეობით. ლატიფე თავსაბურავის გარეშე იყო, ქორწილი ჩატარდა ფულადი გამოსასყიდებისა და საჩუქრების გარეშე. მეორე დღეს მუსტაფა ქემალი მეუღლესთან ერთად ეწვია იზმირის თეატრს. ყოველივე ამან რელიგიურ წრეებში აღშფოთება გამოიწვია. ოპოზიციამ მეჯლისში შეიტანა შეკითხვა მუსტაფა ქემალის ქორწილთან დაკავშირებით.

ათათურქის რჩევით, ლატიფე დიდ მუშაობას ეწეოდა ქალთა საზოგადოებაში ძველი ტრადიციული გადმონაშთების ლიკვიდაციის მიზნით. ყველგან, მათ შორის მეჯლისშიც, იგი თავსაბურავის გარეშე დადიოდა, ეს მეტად აღიზიანებდა ფანატიკოსებს. მაგრამ იგი არ აქცევდა ამას ყურადღებას და აქტიურად იბრძოდა ქალთა ემანსიპაციისათვის.

მუსტაფა ქემალი დიდად აფასებდა იმ წვლილს, რომელიც ქალებმა შეიტანეს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ხელს უწყობდა მათი უფლებების გათანასწორებას მამაკაცებთან.

1926 წელს გამოცემული კანონით ქალებმა პირველად თურქეთის ისტორიაში მამაკაცებთან ერთად მიიღეს პოლიტიკური უფლებები, საარჩევნო ხმის უფლების გამოკლებით. ეს იყო პირველი ნაბიჯი ქალების ემანსიპაციის გზაზე. აიკრძალა მრავალცოლიანობა; ჩადრის ტარება; 18 წლამდე გოგონების გათხოვება. 1927 წლის კანონით, ქალებს მიეცათ უფლება ემსახურათ სახელმწიფო დაწესებულებებში.

სტამბოლსა და ანკარაში გაიხსნა ქალთა უმაღლესი პედაგოგიური ინსტიტუტები; სასწავლებლები და ლიცეუმები; 1928 წელს გაიხსნა პირველი ქალთა სკოლა, მუსიკალური და ფიზიკური აღზრდის პედაგოგების მოსამზადებლად.

30-იან წლებში კონსტიტუციაში შეიტანეს ცვლილებები, რომლითაც ქალებს მიენიჭათ უფლება მონაწილეობა მიეღოთ მუნიციპალურ და მეჯლისის არჩევნებში.

ამრიგად, ქალებმა მიიღეს მამაკაცებთან თანასწორად მონაწილეობის უფლება ქვეყნის საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ”ქემალისტები აღმოჩნდნენ ევროპელებზე პროგრესულები ქალებისათვის უფლებების მინიჭების საქმეში.”

1934 წელს თურქეთის პარლამენტმა მიიღო გვარის კანონმდებლობა (წინათ თურქები ატარებდნენ მხოლოდ სახელსა და მამის სახელს ან მეტსახელს). რომლითაც გაუქმდა ტიტულები და მიმართვის ძველი ფორმები: ფაშა; ბეი; ეფენდი და სხვა. მუსტაფა ქემალს გვარად უბოძეს ათათურქი (”თურქების მამა”), ისმეთ ფაშამ კი ინონუ (ინონუ სოფლის სახელწოდებაა, სადაც მან მოიპოვა გამარჯვება ბერძნებზე)[37.64].

მუსტაფა ქემალის ინიციატივითა და ფინანსური დახმარებით 1929-1930 წლებში დაარსდა თურქეთის საისტორიო და ლინგვისტური საზოგადოებები. ამ საზოგადოებებმა დიდი როლი შეასრულეს ქვეყნის კულტურისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარების საქმეში.

30-იანი წლების დასაწყისში სახელმწიფოს დახმარებით გაიხსნა მუზეუმები. რომლებმაც ქვეყნის კულტურის პროპაგანდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა საბიბლიოთეკო საქმის გაუმჯობესების, მუსიკალური და თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის. ანკარაში, სტამბოლსა და იზმირში გაიხსნა სახელმწიფო თეატრალური, მხატვრული და მუსიკალური სკოლები.

მთავრობამ მიიღო გარკვეული ზომები სპორტის ცენტრალიზაციის მიზნით. დაარსდა სპორტული საზოგადოე-

ბები, კლუბები. 1924 წელს თურქეთმა პირველად მონაწილეობა მიიღო ოლიმპიურ თამაშებში.

ქვეყანაში მოსპეს რა ძველი საზოგადოების საფუძველი, შარიათის ნორმები, არაბული ანბანი, რელიგიური სკოლები, ძველი განათლების სიტემა, ქემალისტებმა მოახდინეს გადატრიალება თურქეთის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც კულტურული რევოლუცია.

1927 წლის 15-20 ოქტომბერს ჩატარდა "სახალხო-რესპუბლიკური პარტიის" II ყრილობა, რომელზეც 37 საათიანი სიტყვით გამოვიდა მუსტაფა ქემალი. მან შეაჯამა 1919-1927 წლებში ქვეყანაში მომხდარი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები და დასახა ქვეყნის შემდგომი განვითარების გზები[32.87].

ამრიგად, ათათურქის ხელმძღვანელობით ქემალისტებმა გაატარეს ევროპული რეფორმები სამართლის, სოციალური, საზოგადოებრივი, კულტურისა და განათლების სფეროში. ამ რეფორმებმა ხელი შეუწვეს თურქეთში საერო სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

ქემალიზმის რეფორმები შეიძლება განვიხილოთ, როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი ქვეყნის სეკულარიზაციისა და წინსვლის გზაზე. რეფორმებმა დიდი გამოძახილი ჰპოვეს მაშინდელ მსოფლიოში და სახელი მოუხვეჭეს მუსტაფა ქემალს, როგორც პროგრესულ მოღვაწეს. რეფორმების შედეგად თურქეთი დაადგა ევროპული განვითარების გზას[32.78].

მუსტაფა ქემალის შეხედულებებიდან და ქემალისტური პრინციპების დადგენიდან 86 წელი გავიდა. ამ

დროის მანძილზე მის შესახებ ბევრი რამ დაიწერა და თქმულა. წარმოდგენები ამ საკითხის მიმართ გამომდინარეობდა ისტორიული წარსულითა და სახელმწიფო იდეოლოგიის იმ ფორმით, რასაც საუკუნეების განმავლობაში ადგილი ჰქონდა ქვეყნის ცხოვრებაში, რომელსაც უნდა დაეცვა სიწმინდისა და სარწმუნოების თავისუფლება რესპუბლიკურ თურქეთში.

## დასკვნა

ამგვარად, პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის დამარცხებამ, ანტანტის ქვეყნებს შორის დღის წესრიგში დააყენა მისი დანაწილების საკითხი. სულთნის მთავრობა, იმისათვის, რომ ხელისუფლება შეენარჩუნებინა, იძულებული გახდა თანხმობა განეცხადებინა კაბალურ საზავო ხელშეკრულებებზე.

დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების ფონზე თურქეთში მუსტაფა ქემალის მეთაურობით, 1918-1923წ.წ. მიმდინარეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელმაც ქვეყანაში ქემალიზმის სახელწოდება მიიღო.

ქემალისტური ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვანი დიპლომატიური მოვლენა იყო ლოზანის კონფერენცია, რომელიც ხელმოწერილ იქნა 1923 წლის 24 ივლისს თურქეთსა და მოკავშირე სახელმწიფოებს შორის. სწორედ ამ შეთანხმებამ დაუღო საფუძველი ახალი სახელმწიფოს – თურქეთის რესპუბლიკის შექმნას. თუ ნაციონალურმა მოძრაობამ მუსტაფა ქემალის მეთაურობით მიიღო თურქი ხალხის ნაციონალური ისტორიის დაწყების სახელწოდება, მაშინ ლოზანის ხელშეკრულება, შეიძლება ჩაითვალოს თურქეთში ეკონომიკური ისტორიის დასაწყისად. ლოზანის ხელშეკრულება წარმოადგენს ისტორიის გამოძახილს არა მარტო თურქეთისათვის, არამედ ყველა კოლონიური და ნახევრადკოლონიური აღმოსავლური ქვეყნებისათვის.

თურქეთი გამარჯვებულის რანგში არაერთხელ გამოსულა. თუმცა, ლოზანამდე ის არასოდეს გადაქცეულა აღმოსავლეთისათვის ისტორიის მაგალითად. ამ აზიურმა

სახელმწიფომ მოახერხა არა მარტო მოეგო ბრძოლა იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან, არამედ აიძულა ისინი ელიარებიანთ თავიანთი დამარცხება.

ქემალიზმის პრინციპებმა - ათათურქის აზრით "რევოლუციას ღირსეული სახე მისცა, რომლებიც გახდა საფუძვლიანი და სისტემური დებულებები." ყოველი მათგანი სრულიად დამოუკიდებელია და ეხება ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ცალკეულ დარგს. ამავე დროს ეს დებულებები ერთმანეთისაგან გამომდინარეობენ, ერთმანეთს ეთანხმებიან, ამიტომაც მათი საფუძვლიანი გააზრება და გაგებაა საჭირო. ისინი თურქი ხალხისათვის თანამედროვე ცხოვრების უზრუნველყოფის მთავარი პრინციპებია.

ქემალისტებმა ქვეყანაში გაატარეს ევროპული რეფორმები: სამართლის; სოციალურ; საზოგადოებრივ; კულტურისა და განათლების სფეროში. რომლებმაც ხელი შეუწვევეს თურქეთში საერო, სახელმწიფოებრივი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას და განვითარებას.

მუსტაფა ქემალ ათათურქმა ქემალისტური რევოლუციური ცვლილებების გზით, თურქეთში შექმნა ევროპული კანონმდებლობა და ჰუმანიზმის პრინციპები.

ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით, აქ ადგილი ქონდა ისტორიული განვითარების წინსწრებას. ქემალიზმის რეფორმები შეიძლება განვიხილოთ როგორც წინგადადგმული ნაბიჯი ქვეყნის სეკულარიზაციისა და წინსვლის საქმეში. რომელმაც დიდი გამოძახილი ჰპოვეს მაშინდელ მსოფლიოში და სახელი მოუხვეჭეს მუსტაფა ქემალს, როგორც პროგრესულ მოღვაწეს.

ქმალისტური რევოლუცია თავისებურებით ხასიათდებოდა. მოძრაობას არ ჰქონია ასეთი თანმიმდევრობა - ჯერ რევოლუციური თეორია, შემდეგ რევოლუცია. თურქეთში მოხდა პირიქით - ჯერ რევოლუცია და მხოლოდ შემდეგ, რევოლუციის მსვლელობაში შეიქმნა ქმალისმი.

სულთნის ხელისუფლების დამხობისა და რესპუბლიკის გამოცხადების პერიოდში მუსტაფა ქმალმა დიდი დიპლომატიური ნიჭი და პოლიტიკური ალღო გამოამჟღავნა.

თურქეთის უახლეს ისტორიაში მუსტაფა ქმალს უდიდესი წვლილი მიუძღვის. ათათურქის ფენომენი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთდროულად იყო სამხედროც, რელიგიის დამცველიც, სახელმწიფო მოღვაწეც, რევოლუციონერიც და რეფორმატორიც. მის მიერ გატარებული ქმალისმის პრინციპების შედეგად თურქეთი გადაიქცა რევოლუციურ, ნაციონალურ, ხალხოსნურ, ეტატისტურ, ლაიცისტურ და რესპუბლიკურ სახელმწიფოდ.

რესპუბლიკის გამოცხადების შედარებით მოკლე ისტორიულ პერიოდში, ისლამური რელიგიის სტატუსთან დაკავშირებით სიტუაცია ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვალა.

1928 წელს ათათურქის ძალისხმევით თურქეთის კონსტიტუციაში დაფიქსირდა რელიგიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან.

1937 წლის ახალმა კანონმა უზრუნველყო ლაიცისმის პრინციპის სრული რეალიზირება.

მუსტაფა ქმალ ათათურქის გარდაცველების შემდეგ (1938 წლის 10 ნოემბერი), მისმა პიროვნებამ შეინარჩუნა

ერთ-ერთი დიდი რეფორმატორისა და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანის სახელი და ქვეყნის ისტორიაში მისი საქმეები ოქროს ასოებით ჩაიწერა. ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ თურქმა ერმა ათათურქს დაუფასა მისი დგაწლი და უკვდავსაყოფის ნიშნად ანკარაში აუგო მავზოლეუმი.

მუსტაფა ქემალის შეხედულებებიდან და ქემალისტური პრინციპების დადგენიდან 86 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე ამ საკითხის მიმართ ბევრი რამ დაიწერა და თქმულა და მჯერა, რომ მომავალშიც კიდევ ბევრი ითქმება და დაიწერება, რადგან ჩემი აზრით, ათათურქის და ქემალიზმის ფენომენი თანამედროვე თურქეთის საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი აქტუალური და საინტერესო საკითხია.

**Türkiye Cumhuriyeti'nde Mustafa Kemal Atatürk'ün Rolü**

**Sunuş**

Türkiye Cumhuriyeti jeostratejik konumundan, tarihinden ve bugünkü durumundan dolayı büyük bir devlettir. Türkiye, son dönemde ekonomisini çok geliştirildi. O yüzden 21. yüzyılda Türkiye güçlü olacaktır.

Elinizdeki çalışmada Türkiye Cumhuriyeti'nin kurucusu Mustafa Kemal Atatürk'ün 1918-1923 yıllarında Kurtuluş Savaşındaki rolünü, Türkiye'nin devlet yapısını, Atatürk ilkelerini ve diğer konuları anlatmaya çalıştık. Bütün bunlar çağdaş Türk Devleti'nin temelidir.

Türk Devleti'nin ana prensipleri büyük reformcu Kemal Atatürk'ün ilkelerine dayanmakta ve adı Kemalizm yani Atatürkçülüktür. Bu prensibi doğru bir şekilde algılanmadan çağdaş Türkiye'deki durumu anlamak zor olur.

Böylece amacımız Cumhuriyet'in kurulmasında Mustafa Kemal Atatürk'ün rolünü en iyi şekilde göstermesidir.

**The role of Mustafa Kemal Ataturk in Republican Turkey**

**Summery**

The republican Turkey is a big country with its geostrategic location, historical past, and present day. Turkey has so developed its own economy for the last decades that the statement “Turkey will enter in the 21st century as one of the developed country” isn’t devoid of seriousness.

In the present work we tried to present the role of Mustafa Kemal Ataturk, the founder of the Republican Turkey, in liberation movement in 1918-1923. The state system of Turkey; the political orientation of Turkey; the principles of Kemalism and other issues. This paved way for the formation of political system in modern Turkey.

The official doctrine of the state political Republic of Turkey is based on the principles of the founder of the Republic, the great reformer, Kemal Ataturk and is known as Kemalism. It is impossible to perceive objectively current processes in modern Turkey without understanding these correctly.

In that way, we made it our aim to summarize and present the work in which the role of Mustafa Kemal Ataturk in the formation of Republican Turkey would be clearly represented.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

### I. წყაროები

1. Ататюрк Кемаль. Избранные речи и выступления. Пер. с турецкого, редакция и вступительная статья А.Ф. Миллера. М., 1966
2. Aktüel Yıllık 1996. İstanbul. 1997.
3. Armaner Neda., Atatürk – Din ve Laiklik, Atatürkçülük (ikinci kitap), İstanbul, 1997.
4. Atatürk Kemal, Nutuk, c.II, İstanbul, 1973.
5. Atatürk Kemal, Nutuk, c.III, İstanbul, 1975.
6. „Atatürk'ün Söylev ve Demeçler,“ c.1-3, Ankara, 1945-1959.
7. Atatürkçülük (üçüncü kitap), Atatürkçü Düşünce Sistemi. İstanbul, 1997.
8. Türkiye Cumhuriyeti Anayasasi, Ankara, 1961.
9. Bulut Faik., Ordu ve din. Gözüyle islamci faaliyetler. İstanbul, 1995.
10. Sendayi Nedin, Atatürk(urduca yayinlarda), İstanbul, 1965.

### II. ლიტერატურა

11. აფხაზავა თ. ”ნაციონალიზმი თურქულ ისტორიოგრაფიაში.” დისერტაცია, თბილისი, 2006.
12. ბატიაშვილი ზ. თურქეთის შეიარაღებული ძალები. თბილისი, 2000.
13. ბატიაშვილი ზ. ცნობარი თურქეთზე თბილისი, 2003.
14. ბელთაძე მ., იმედაშვილი აბ. ”ლაციისტური თურქეთი იმარჯვებს.” გაზ.”საქართველოს რესპუბლიკა,” №92, 23.04.1997.
15. ბაქრაძე რ. საქართველოს მიღმა, ბათუმი, 2003.
16. გიგინეიშვილი ო. თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბილისი, 1963.

17. გიგინეიშვილი ო. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბილისი, 1982.
18. გიგინეიშვილი ო, ნაციონალიზმის ქემალისტური დებულება. მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია, თბილისი, 1983.
19. დათუნაიშვილი ი, „ქემალიზმის ეტატისტური პრინციპები და თურქეთის ეკონომიკური განვითარების საკითხები.“ მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბილისი, 1976.
20. დანგაძე ნ. "თურქეთის სახალხო-რესპუბლიკური პარტია 1923-1950წ.წ." დისერტაცია, თბილისი, 2006.
21. წულაძე ი. "ისლამური ფუნდამენტალიზმი თანამედროვე თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში." დისერტაცია, თბილისი, 1999.
22. დონაძე ვ. აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორია (ნაწილი I, 1918-1945). თბილისი, 1968.
23. ლებანიძე ტ. პარტიები და პოლიტიკური მდგომარეობა თურქეთში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბილისი, 2004.
24. მაკარაძე ე. თანანმედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები. ბათუმი, 2002.
25. მაკარაძე ე. თურქული ნაციონალიზმის არსის საკითხისათვის, ბ.ს.უ. შრომები. ტ.IV. (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), ბათუმი, 2002.
26. მაკარაძე ე. "მუსტაფა ქემალ ათათურქი და ქემალიზმი." ჟურნალი— "აღმოსავლეთი," №9. 2002.
27. მაკარაძე ე. ათათურქი და ლაიციზმი. ჟურნალი, „აღმოსავლეთი," „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი," თბილისი, 2005.
28. მაკარაძე ე. მუსტაფა ქემალ ათათურქი და ისლამი, ჟურ. აღმოსავლეთი და კავკასია, №.5. თბილისი, 2007.

29. მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. თბილისი, 2003.
30. მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია. თბილისი, 2000.
31. სორდია გ. „ევროპეიზაცია“ და ისლამიზმი თანამედროვე თურქეთში„თურქეთის ცნობები,“№7, 1999.
32. სორდია გ. „ევროპეიზაცია თანამედროვე თურქეთში.“ დისერტაცია. თბილისი, 2002.
33. სვანიძე მ. თურქეთის ისტორია(1299-2000). თბ., 2007.
34. სვანიძე მ. თურქეთის ისტორია. ტ.III., თბილისი, 2003.
35. ფუტყარაძე ი. პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება თურქეთში(1923-1929)(სამაგისტრო შრომა), ბათუმი,2008.
36. თურქეთის ისტორიის კონსტიტუცია, თურქულიდან თარგმნა გ.სორდიამ, თბილისი, 2000.
37. ჯაფარიძე შ. “მუსტაფა ქემალ ათათურქი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე.” ბათუმი, 1996.
38. Аралов С.И. Воспоминания советского дипломата (1922-1923); М; 1960.
39. Алибеков И.В. Государственный капитализм в Турции. Москва, 1962.
40. Гасратян М.А; Орешкова С.Ф; Петросян Ю.А.” Очерки истории Турции” Москва, 1983.
41. Данилов В.И. Турция 20-30-х годов: путь к демократии. Восток. 1997. №2.
42. Данциг Б. “Турция”; политическая география; Москва,1949.
43. Лавров Н.М. “Турция в 1918-1939 гг.” Москва, 1952.
44. Лежиков А. Отец народа. Родина. 1998. №5-6.
45. Кадимбеков З. “Здесь Азия встречается с Европой”; заметки журналиста о Турции; Баку; 1982.
46. Киреев Н.Г. История этатизма в Турции. Москва, 1991.

47. Маисеев П. Розалиев Ю. К истории Советско-Турецких отношений; Москва, 1958.
48. Еровченков А., Встреча глав тюркских государств в Стамбуле, "Компас", №167, 1994.
49. Миллер А.Ф. Становление Турецкой республики//Народы Азии и Африки.1973.№6.
50. Миллер А.Ф. Вступительная статья. Кемаль Ататюрк. Избранные речи и выступления. Москва, 1966.
51. Розалиев Ю.Н. "Мустафа Кемаль Ататюрк"; Очерки жизни и деятельности; Стамбул, 1997.
52. Розалиев Ю.Н. Мустафа Кемаль Ататюрк. Вопросы истории. 1995. №8.
53. Турецкий сборник; статья Шамсутдинова "План раздела султанской Турции и использование ее в вооруженной интервенции Антанты против советской России(1918-1919).“ Москва, 1958.
54. Шамсутдинов А.М. "Национально-освободительная борьба в Турции 1918-1923гг." Москва, 1966.
55. Шахинлер М."Кемализм, зарождение, влияние, актуальность,"пер.с фран; Москва, 1998.
56. Новичев А.Д. История Турции. Ленинград, 1968.
57. Морунгов Ю.В. Пантуркизм и Панисламизм младотурок. Краткие сообщения Института народов Азии. Т.XIV. Москва, 1961.
58. Мустафа Кемаль;"Путь новой Турции, " т.III. Москва, 1934.
59. Мустафа Кемаль Ататюрк. Кемаль Ататюрк. О советско-турецких отношениях в 1919-1938 годах// Международная жизнь. 1963. №11.
60. Зареванд, Турция и пантуранизм. Ереван, 1991.
61. Ahmad .F Tiirkiye'de cok partii politikanin aciktamali kronolqjisi (1945-1971). Ankara, 1976.
62. Asim Aslan; Sömürülen Atatürk ve Atatürkçülük; Istanbul; 1999.
63. YENI TÜRKÇE SÖZLÜK, Ankara, 1986.

64. Aktaş R. N. ; Atatürk'ün bağımsızlık savaşı nasıl başladı? İstanbul, 1973
65. Bilsel M. Cemil; . "Lozan" İstanbul; 1998.
66. Cın Halil; Atatürk ve Gençlik, konya,1985.
67. Çeçen A, Atatürk ve Cumhuriyet. , Ankara 2005.
68. Derneği M. K. Atatürk ve bugünün türk gençlik; İstanbul; 1986.
69. Dilek Z. 10 kasımlarda Atatürk anmak ve anlamak, Ankara, 2004.
70. Eroglu H., Atatürk ve millî eđemenli , Ankara, 1987.
71. Erođlu H. , Atatürk ve cumhuriyet, Ankara 2005.
72. Erođlu.H .Birinci basılıř devlet kitapları, ıstanbul, milli eđitim basımevi,1982.
73. Gülcan Y, Şenşekerci E, Atatürk ilkeleri ve inkılap tarihi, II. kurtulus dönemi (1923-1950) , Bursa 2003.
74. Gronay dietrich, Pamır G.K., Mustafa Kemal Atatürk ve Cumhuriyetin doğusu, İstanbul 1994.
75. Kılınçkaya M. Devriř (editör), Atatürk ve Türkiye cumhuriyeti tarihi, Ankara, 2005.
76. Kocatürk U. Atatürk'ün fikir ve düşünceleri, ikinci basım, Ankara 2005.
77. Koray D. Neden Atatürk, Niçin Laiklik?; İstanbul;, 2003.
78. Toprag B. Islam and Political Development in Turkey. Leiden, 1981.
79. Ülger S. E.,Türk Rönesansı ve Anılarda Gazi Mustafa Kemal Atatürk, İstanbul-1999.
80. Saray Mehmed, Türklerde Dini ve kültürel hoşgörü, Atatürk ve laiklik., Ankara, 2002.
81. Yaşa D. Atatürk çülüğün esasları, Ankara, 1999.
82. 100 temel eser özetleri, nutuk, Ankara, İzmir, 2005.
83. Göksel B, Atatürk'ün soykütüğü üzerine bir çalıřma; Ankara; 1995.
84. Ünal A, Bir Portre Denemesi(Fethullah Gülen), Tiflis, 2007.
85. www.iimes.ru
86. www.bashbakanlik.gov.tr
87. www.Ataturk.gov.tr

## შინაარსი

შესავალი	5
თავი I. მუსტაფა ქემალ ათათურქის როლი განმათავისუფლებელ მოძრაობაში	10
§I. პოლიტიკური ვითარება თურქეთში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ	10
§II. მუსტაფა ქემალ ათათურქი და განმათავისუფლებელი მოძრაობა	14
თავი II. ათათურქი და ქემალიზმის პრინციპები	37
§I. რესპუბლიკანიზმი	38
§II. ლაიციზმი	40
§III. ნაციონალიზმი	51
§IV. ხალხოსნობა	59
§V. ეტატიზმი	62
§VI. რევოლუციონიზმი	69
თავი III. მუსტაფა ქემალ ათათურქის რეფორმები	86
დასკვნა	99
რეზიუმე (თურქულ ენაზე)	103
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე)	104
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა	105

გამომცემლობის დირექტორი – ნანა ხახუტაიშვილი  
გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე  
ტექნიკური რედაქტორი – ელუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.06.2009  
ქალაქის ზომა 60X84 1/16  
ფიზიკური თაბახი 82  
ტირაჟი 100

შპსი სახელმწიფო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში  
ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35

---